# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 30 აპრილი 1996 № 33 (258) ფასი 40 თეთრი

# „დინამო" ყველას ანადგურებს

## საქართველოს ჩემპიონატი

XXIV ტური

### დინამო 6:1 მარგვეთი

დინამო: ზოიძე, კობიაშვილი, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ცქიტიშვილი 60), ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 52), იაშვილი

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გეწაძე, ჟვანია, მორგოშია, კაკუბავა, ქებაძე, წიკლაური (ჩხეტია 60), კიკნაძე, ენდელაძე (უკლება 46)

1:0 გოგიჩაიშვილი (25 პ), 2:0 იაშვილი (28), 3:0 ყიზილაშვილი (37), 4:0 იაშვილი (42), 4:1 მორგოშია (53), 5:1 ყიზილაშვილი (57), 6:1 იაშვილი (77)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

ერთადერთი გუნდი, რომლისგანაც პირველ წრეში და საერთოდ, ჩემპიონატის მსვლელობისას „დინამომ" მარცხი იწვნია, სწორედ კვირიაკეს თბილისელთა სტუმარი — „მარგვეთი" იყო. „კოლხეთთან" და „მეტალურგთან" დიდი ანგარიშით — 4:0 მოგების შემდეგ საინტერესო მატჩის მომლოდინე თბილისელ ქომაგებს ერთადერთ იმედად მეორე ადგილზე დაწინაურებულ ზესტაფონელებთან შეხვედრაღა დარჩათ, მაგრამ კარგი თამაშის ხილვის იმედი ამჯერადაც გაუცრუვდათ. ვერ ვიტყვით, რომ მარგვლები წინასწარ იყვნენ მარცხს შეგუებულნი, მაგრამ პირველივე გოლმა, რომელიც, მათი აზრით, უსამართლოდ დანიშნულ პენალტს მოჰყვა, ისინი გატეხა და მას შემდეგ თამაშმა ინტერესი დაკარგა. ...რადა, მანამდე დაცვაში ჩამჯდარი სტუმრები დინამოელთა შეტევებს მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ცენტრში კაკუბავა აქტიურობდა, წინ კი— ენდელაძექებაძის დუეტი. თუმცა, ბოლო მომენტში ისინი ზუსტნი ვერ იყვნენ და ამდენად რეალური ხიფათი ზოიძის კართან არ შეუქმნიათ.

შეხვედრის ბედი ჯერ კიდევ პირველი ნახევრის ჩვიდმეტწუთიან მონაკვეთში — 25-დან 42-წუთამდე გადაწყდა და მეორე ტაიმს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობაღა ჰქონდა, სტუმართა მწვრთნელმა გუნდის და საქართველოს პირველობის საუკეთესო ბომბარდირი ზვიად ენდელაძე შეცვალა. მას ფეხი ასტკივდა და თავის მონაგარს — 32 გოლს ვეღარაფერი მიუმატა. შეხვედრის მეორე ნახევარი წამდვილ ვარჯიშს ჰგავდა, რაც აღნიშნა კიდეც მატჩის შემდეგ „მარგვეთის" მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ. ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდისა თუ შემცირების საშუალება, მაგრამ საგოლე შანსები მხოლოდ დინამოელებმა გამოიყენეს. თბილისელთა ექვს გოლს ზესტაფონელებმა მორგოშიას ერთადერთი ბურთით უპასუხეს და თამაშიც ასეთი არასაფეხბურთო და, მით უმეტეს, არასალიდერო შედეგით დასრულდა. თუმცა, საქართველოში დღეს ამით ვისღა გააკვირვებ. ეროვნული სტადიონი ხომ ჩვენი პირველობის ლიდერთა ოცნებების დასამარების ადგილად იქცა. აქ ისინი „დინამოსთვის" კონკურენციის გაწევის სურვილს გულისტკივილით ეთხოვებიან, მაყურებელიც მოკლებულია მისთვის ასე ნანატრი საინტერესო თამაშების ხილვას.

...ტრიბუნაზე კი ერთადერთი საწყალი ყრუ-მუნჯის ღრიალი ისმოდა...

მატჩის შემდეგ ზაურ ჩუბინიძემ, „მარგვეთის" მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა:

„რა თქმა უნდა, „დინამომ" დამსახურებულად გაიმარჯვა და ამის თაობაზე ორი აზრი არც შეიძლება იყოს. გულსატკენი მხოლოდ ერთი ფაქტია: „დინამოს" არ სჭირდებოდა უსამართლოდ დანიშნული პენალტი, რომელმაც წელში გაგვტეხა კიდეც. ეს რომ არა, ვფიქრობ, ჩვენ ასეთი კატასტროფული ანგარიშით არ დავმარცხდებოდით და მაყურებელიც უფრო კარგ თამაშს იხილავდა. ისე, გულახდილად რომ ვთქვა, ამ შეხვედრას ჩვენ უფრო საკონტროლო მატჩის მნიშვნელობას ვანიჭებდით. აქცენტი ჩვენს უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებზე გვაქვს გადატანილი. ასე რომ, არ იფიქროთ, თითქოს „დინამოსთან" მარცხი ფსიქოლოგიურად დაგვთრგუნავს. ეს გამორიცხულია".

### კოლხეთი 2:1 მეტალურგი

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჯაძე, არზიანი (ინიაშვილი 46), ლაღანიძე (ბულუხია 78), კიკლიაშვილი, ამბიძე, გაბისონია, ქუნთელია

მეტალურგი: გ. დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე, თევზაძე, არსოშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, პერტია (გელაძე 68), ტარტარაშვილი, ალადაშვილი (ჯელაძე 74)

1:0 კიკლიაშვილი (62 პ), 1:1 არჩვაძე (68), 2:1 ამბიძე (90)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ტურის ყველაზე საინტერესო და დაძაბული მატჩი ფოთში გაიმართა — ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან და ერთმანეთს ეუფას საგზურს ედავებიან. სწორედ ამან განაპირობა მატჩისადმი მაყურებელთა ინტერესი. „სამტრედიასთან" მოგებულმა შეხვედრამ სტუმრებს საკუთარი ძალების რწმენა შეჰმატა და მათ ნამდვილი ომი გაუმართეს ფოთელებს. გოლი მხოლოდ მეორე ტაიმის შუაგულში გავიდა — მასპინძლები კიკლიაშვილმა დააწინაურა, თუმცა რუსთაველებმა მალევე გაათანაბრეს ანგარიში. შეხვედრა ბოლომდე ასე საინტერესოდ წარიმართა. სასტვენამდე 15 წამით ადრე ფოთელთა ნახევარმცველმა ბახვა ამბიძემ ზუსტი დარტყმით თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

### ბათუმი 1:1 ტორპედო

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე (ღლონტი 72), მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, მუჯირი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სადილიანი, გიორგობიანი, ჯინჭარაძე, ჩხეტიანი (იობიძე 83), შენგელია, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 46)

1:0 მუჯირი (60), 1:1 მეგრელაძე (70)

გაფრთხილება: თურმანიძე

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ბათუმელებს აქცენტი თასის გათამაშებაზე აქვთ გადატანილი და ამის გამო ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებს, განსაკუთრებით მეორე წრეში, მთლად ხეირიანად ვერ ატარებენ და მათთვის შეუფერებელ მეექვსე ადგილზე იმყოფებიან. ამ შეხვედრაშიც, ეტყობა, ამ ფაქტორმა იმოქმედა. თუმცა, სტუმრებმაც იყოჩაღეს, მასპინძლებს მოგების საშუალება არ მისცეს და შეუპოვრობის წყალობით შეძლეს თამაშის გადარჩენა.

### სამტრედია 4:1 დილა

სამტრედია: ჭანტურია, ჩომახიძე, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია (რუხაძე 69), გ. დარასელია, ჩხაიძე

დილა: მდივანი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხაჭაპურიძე, მარეხაშვილი, ტაბატაძე, ხ. გაგნიძე, ნკრიალაშვილი, რევაზიშვილი

1:0 ჩხაიძე (36), 2:0 ფანჩულიძე (49), 3:0 გოგიაშვილი (62), 4:0 ტაბატაძე (68 საკუთარ კარში), 4:1 ლომიძე (86)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

სამტრედიელთა ლიდერობიდან ჩამოწერა ჯერ კიდევ ნაადრევი რომაა, „დილასთან" შეხვედრამაც დაადასტურა. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს, კვლავ ლიდერთა სამეულში აღმოჩნდნენ და უეფას საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

### გურია 2:1 კახეთი

გურია: აბაშიძე, ღურწკაია, ცერცვაძე, კუკულაძე, ყოლბაია, ებრალიძე (ლორია 55), ჩიგოგიძე, განევი, ქიქავა, ბახტაძე, მარგიანი (ნარიაშვილი 46)

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ათუაშვილი (ნონიკაშვილი 80), ნიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, სოლოღაშვილი, ბაბულაიძე, ლევინიაშვილი

1:0 მარგიანი (10), 1:1 ბაბულაიძე (53), 2:1 ნარიაშვილი (67)

გაფრთხილება: ნიკლაური, ჯაშიაშვილი

მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

აუტსაიდერთა შეხვედრაში გურულებმა იმარჯვეს, თუმცა კი დიდი ხნის მანძილზე მათი მოგება სათუო იყო. ვეტერანი ავთო ნარიაშვილის გადამწყვეტმა გოლმა გამარჯვებასთან ერთად „გურიას" მნიშვნელოვანი სამი ქულაც მოუტანა და სახიფათო ზონიდან გამოსვლის საშუალება მისცა.

### სიონი 3:1 შევარდენი

სიონი: სიდამონიძე, სამხარაძე (ანდღულაძე 16), ყიფშიძე, შაკიაშვილი, ბურდული (მეფარიშვილი 75), პაპიძე, გოგოლაძე, ტორომელიძე, მოსეშვილი, სამხარაძე, მეტრეველი

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, მელქაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე (სვანიძე 46), ქოიავა, კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, ნიტაიშვილი (ქანთარია 75), მინდიაშვილი (მოსულიშვილი 46)

1:0 ანდღულაძე 58), 2:0 სამხარაძე (70), 3:0 მეტრეველი (80), 3:1 ჯიქია (88)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

მას შემდეგ, რაც „შევარდენის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს დავალიანების დაფარვა აღუთქვა, მოთამაშეებმა ხელი აიღეს განზრახვაზე — არ ჩასულიყვნენ ბოლნისში სათამაშოდ. თუმცა კი აუტსაიდერთან დამარცხდნენ, რითაც ამ უკანასკნელთ ამოსუნთქვის საშუალება მისცეს.

### დურუჯი 2:5 ივერია

დურუჯი: სომხიშვილი, ვარადაშვილი, ყანჩაშვილი, ცინცაძე, მოსიაშვილი, ბოჭორიშვილი, კობიაშვილი (დავითაშვილი 46), ქარენაშვილი, ოსეფაშვილი (კუპრაშვილი 46), ყიზილაშვილი, წიწრიაშვილი (ჯიქურიშვილი 70)

ივერია: გვარამაძე (გოგოლაძე 70), ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ვეშაპიძე 56), ტყემალაძე, ლომიძე, ი. ბუხრიკიძე, კაციაშვილი, ვ. ბუხრიკიძე (გლუნჩაძე 26)

0:1 გლუნჩაძე (28), 0:2 კაციაშვილი (35), 0:3 გლუნჩაძე (49), 0:4 ლაცაბიძე (56), 0:5 ლომიძე (75), 1:5 ბოჭორიშვილი (79), 2:5 ქარენაშვილი (89)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

თანაბარი ბრძოლა ყვარლელებმა მხოლოდ პირველ 15 წუთში შეძლეს. ამის შემდეგ „ივერიას" უპირატესობა გამოიკვეთა და მათ დიდი ანგარიშით გამარჯვებასაც მიაღწიეს. განსაკუთრებით ხაშურელი ლაცაბიძის მიერ გატანილი ულამაზესი გოლი უნდა ავღნიშნოთ. მან, მეკარის ჩათვლით მეტოქის თითქმის ყველა მოთამაშე მოატყუა და გოლი გაიტანა.

ამ გამარჯვებით „ივერიამ" სატურნირო მდგომარეობა ისე გაიუმჯობესა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლაცაბიძე არათუ ჯგუფში დარჩენაზე, უკვე ათეულში მოხვედრაზე ფიქრობს. ახალ ამპლუაში მოვლენილი ლაცაბიძის წარმატებული დებიუტი გვაფიქრებინებს, რომ ეს ხაშურელთათვის მიუღწეველი არ იქნება. აღსანიშნავია, რომ „ივერიას" ახალი პრეზიდენტი მოევლინა — ხაშურის მილიციის უფროსი შალვა ჩაჩანიძე. გუნდის მთავარი მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ახალი პრეზიდენტი „ივერიას" წინაშე არსებულ ყველა პრობლემას მოაგვარებს და მომავალი წლისთვის გუნდი სულ სხვა მიზნებს დაისახავს.

### ეგრისი 0:1 ოდიში

როგორც ჩანს, მურთაზ ხურცილავას რეკომენდაციები და ახალი პრეზიდენტი ზუგდიდელებს ერთობ წაადგათ. ეს „ოდიშის" სატურნირო მდგომარეობას აშკარად დაეტყო. ბოლო ტურებში პირველი წრის ერთ-ერთი მაჩანჩალა გუნდი აშკარად აღმავლობას განიცდის. სენაკელთა საქმე კი, პირიქით, უარესობისკენ მიდის. თანაც, თუ გავითვალისწინებთ დარჩენილ შეხვედრათა განრიგს, დავრწმუნდებით, რომ პირველი ჯგუფიდან გავარდნა სულაც არ არის გამორიცხული. უშუალო მეტოქეებს — „გურიასა" და „სიონს" სენაკელები სტუმრად ეთამაშებიან, შინ კი „ტორპედოსა" და „მეტალურგს" მასპინძლობენ. ამ შეხვედრებში მათი წარმატება მეტად სათუოა.

მერაბ მამულაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 19 | 4 | 1 | 75-12 | 61 |
| მარგვეთი | 24 | 18 | 1 | 5 | 72-28 | 55 |
| სამტრედია | 24 | 15 | 7 | 2 | 72-30 | 52 |
| მეტალურგი | 24 | 17 | 0 | 7 | 55-28 | 51 |
| კოლხეთი | 24 | 16 | 2 | 6 | 54-36 | 50 |
| ბათუმი | 24 | 13 | 6 | 5 | 54-24 | 45 |
| ტორპედო | 24 | 12 | 6 | 6 | 49-34 | 42 |
| დილა | 24 | 10 | 4 | 10 | 47-47 | 34 |
| შევარდენი | 24 | 9 | 2 | 13 | 34-39 | 29 |
| ოდიში | 24 | 8 | 2 | 14 | 35-51 | 26 |
| ივერია | 24 | 8 | 2 | 14 | 28-44 | 26 |
| კახეთი | 24 | 7 | 3 | 14 | 24-49 | 24 |
| სიონი | 24 | 7 | 0 | 17 | 27-53 | 21 |
| გურია | 24 | 7 | 0 | 17 | 21-56 | 21 |
| ეგრისი | 24 | 5 | 2 | 17 | 36-61 | 17 |
| დურუჯი | 24 | 0 | 1 | 23 | 13-104 | 1 |



# რუმინეთში საშინელი წაგება თურმე ლეგიონერთა ბრალი ყოფილა

ესენი კი ადგნენ და შაბათ-კვირას დაამტკიცეს, რომ სათანადო პირობებში მშვენივრად თამაში ძალუძთ

# შოთა ჰეთ-თრიქს ასრულებს

თურქეთის ჩემპიონატის 31-ე ტურში ყველა ლიდერის შეცვლას ელოდა, რაკილა „ტრაბზონი" გასვლით მატჩს თამაშობდა სტამბულში „ისტანბულსფორთან", რომელშიც სულ ცოტა ხნის წინ „გლაზგო რეინჯერსიდან" ოლეგ სალენკო გადავიდა და მეათე მატჩია გოლი გოლზე გააქვს. მაგრამ „ტრაბზონმა", უფრო სწორად კი შოთამ, არად ჩააგდო პროგნოზები და მოიგო მეტად პრინციპული მატჩი 4:1. ჩვენებურმა ჰეთ-თრიქი შეასრულა. იმავე ტურში „ფენერბაჰჩემ" სტამბოლშივე „სამსუნსფორს" სძლია 1:0, „გალათასარაიმ" „ბურსასთან" 0:2 წააგო სტუმრად, „ბეშიქთაში" კი სტუმრადვე ამავე ანგარიშით დამარცხდა „ტრაბზონის" მწყენინებელ „ვანსფორთან". ახლა 31 თამაშის შემდეგ „ტრაბზონს" 76 ქულა აქვს, „ფენერბაჰჩეს" — 75, „ბეშიქთაშს" — 67 და „გალათასარაის" — 62. დანარჩენი სამი ტურიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში ტრაპიზონში გაიმართება 5 მაისს, როცა „ტრაბზონსფორი" „ფენერს" უმასპინძლებს. მოგების შემთხვევაში ტყუპების გუნდი, ფაქტიურად, თურქეთის ჩემპიონობას გაინაღდებს და აქედან გამომდინარე ჩემპიონთა ლიგას გამოჰკრავს ხელს. ეს მატჩი ამის გარდა იმითაც არის საინტერესო, რომ შოთას შანსი ექნება პირადად შეხვდეს და გაუსწორდეს „ფენერის" ნახევარმცველ ბოლიჩს — ბომბარდირთა სიაში ხომ სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ლიდერობს 20-20 გოლით (ოღონდ გურჯი უპენალტებოდ, სერბი კი 8 გატანილი პენალტით). შოთას დაუჟინია, ბომბარდირი პენალტის გარეშე უნდა გავხდეო და როდესაც ორი ტურით ადრე „სამსუნსფორთან" ჰამის შეუთავაზებია, პენალტი შენ დაარტყი და ბოლიჩს გაუსწარიო, შოთას უარი უთქვამს.

# ქეცბაიამაც გაიტანა

ერთი გოლი იმყოფინა თემურ ქეცბაიამ, ვინც კვირას კრეტაში ო.ფ.ი.-სთან მატჩში გახსნა ანგარიში, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში გაქვითეს და შეხვედრაც 1:1 დამთავრდა. ამასობაში აეკ-ის უპირველესმა კონკურენტმა „პანათინაიკოსმა" შინ აპოსტოლაკისის გოლით „ოლიმპიაკოსი" დაამარცხა. ახლა ქეცბას გუნდი სამი ქულით ჩამორჩება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტს.

### «მანჩესტერ სიტიმ» მოიგო

შაბათს ქინქლაძისა და ყაველაშვილის „სიტიმ" ბირმინგემში „ასტონ ვილა" 1:0 დაამარცხა, თუმცა ლიგიდან გავარდნის საფრთხე მაინც ემუქრება.

ინგლისის ჩემპიონატის შესახებ — მეოთხე გვერდზე.

### რევიშვილმა ალანია მიატოვა

როგორც გუშინ შევიტყვეთ, ზაზა რევიშვილს ვლადიკავკაზის „ალანია" მიუტოვებია. მიზეზი ვალერი გაზაევთან კონფლიქტი ყოფილა. ამ ინფორმაციის გადამოწმება გუშინ საღამოს ვეღარ მოვასწარით.

# ინტერტოტოს წილისყრა

25 აპრილს „ინტერტოტოს" თასის წინასწარი წილისყრა ჩატარდა. წინასწარი იმიტომ, რომ ჯერ უმრავლესობა ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, ეროვნული ჩემპიონატები არ დამთავრებულა და აქედან გამომდინარე, არ გარკვეულა ევროთასებზე, მათ შორის „ინტერტოტოზე" მონაწილე გუნდების ვინაობა. გასულ ხუთშაბათს წილისყრამ მონაწილე 60 გუნდი 12 ქვეჯგუფად დაჰყო, რის შემდეგაც გაირკვა, რომ ამ შეჯიბრებაში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი გუნდი მე-12 ქვეჯგუფში შეხვდება საფრანგეთის მეოთხე, იუგოსლავიის პირველ, რუმინეთის მეორე და ფინეთის ერთადერთ წარმომადგენლებს. ქვეჯგუფებში ქართული გუნდი ორ მეტოქეს შინ ხვდება, ორსაც სტუმრად. თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გადის.

მართალია, ჩვენი ჩემპიონატი მაისის ბოლოს დამთავრდება და ევროთასებზე ქართული წარმომადგენლობა მაშინღა გაირკვევა, სავარაუდოდ, „ინტერტოტოზე" ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასული გუნდი გავა. თუ თბილისის „დინამო" დუბლს გააკეთებს (რისიც დიდი შანსია), მაშინ ის ვერცხლის პრიზიორთან ერთად უეფას თასზე ითამაშებს, თასის ფინალისტი — თასების თასზე (ან „მარგვეთი", ან „ბათუმი"). მოკლედ, რეალურად „ინტერტოტოზე" გასვლის შანსი აქვთ „მარგვეთს", „მეტალურგს", „სამტრედიას" და ფოთის „კოლხეთს". წილისყრის სრული შედეგები ასეთია:

I ჯგუფი. გერმანია (1), ბელგია (2), დანია (1), ისრაელი (1), ჩრდ.ირლანდია
II ჯგუფი. გერმანია (2), ავსტრია (2), შვედეთი (2), კვიპროსი, ფარერები
III ჯგუფი. იტალია (1), ავსტრია (1), შვედეთი (1), ირლანდია, სლოვაკეთი
IV ჯგუფი. იტალია (2), ბელგია (3), დანია (2), პოლონეთი (2), უელსი
V ჯგუფი. საფრანგეთი (1), ჰოლანდია (1), საბერძნეთი, ნორვეგია, ისლანდია
VI ჯგუფი. საფრანგეთი (2), ესპანეთი, შვეიცარია (1), ისრაელი (2), ხორვატია
VII ჯგუფი. იტალია (3), რუსეთი (1), შვეიცარია (2), უკრაინა, ბელარუსი
VIII ჯგუფი. გერმანია (4), რუსეთი (3), პოლონეთი (1), ბულგარეთი (2), ჩეხეთი
IX ჯგუფი. გერმანია (3), იუგოსლავია (2), რუმინეთი (1), ლიტვა, სლოვენია
X ჯგუფი. ბელგია (1), ჰოლანდია (2), თურქეთი (2), უნგრეთი, ალბანეთი
XI ჯგუფი. საფრანგეთი (3), რუსეთი (2), თურქეთი (1), ბულგარეთი (1), მალტა
XII ჯგუფი. საფრანგეთი (4), იუგოსლავია (1), რუმინეთი (2), ფინეთი, საქართველო

# რუმინული კატასტროფის მიზეზები

რუმინელებთან სამარცხვინოდ წაგებამ ათასი ჭორი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რას არ გაიგონებ ამის თაობაზე: ერთნი ამბობენ, ფეხბურთელებს ნაკრებში პრემიებს არ უხდიან და იმიტომ არ ითამაშესო; მეორენი — ლეგიონერებმა თავი დაზოგეს, რაკიღა იმათი კლუბები ჩემპიონობისა თუ ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში გადამწყვეტ ფაზაში არიან და ფეხებს გაუფრთხილდნენო; მესამენი ყველაფერს მთავარ მწვრთნელს, ალექსანდრე ჩივაძეს აბრალებენ — თუ დებიუტანტების გამოცდა უნდოდა, კვიპროსთან გამოეცადა, რაღა ჰაჯისა და კამპანიას ჩაუგდა ხახაშიო; მეოთხენი... მოკლედ, რამდენი კაციცაა, იმდენი აზრია. ამდენი მითქმა-მოთქმა არც არის გასაკვირი — ეროვნული ნაკრები ხომ ქვეყნის ფეხბურთის სარკეა და ახლა, ფარერები რომ ფარერებია და სან-მარინო რომ სან-მარინო, ისინი აღარ აგებენ 0:5-ს. მითუმეტეს, ხუთიოდ თვეში ინგლის-იტალიასთან შეხვედრები გველის. ამ თემაზე დისკუსია ალბათ მეტად საჭირო და აქტუალურია. შევეცდებით, ამ საქმეში მონაწილე ყველა პირის აზრი მოგაწოდოთ, დღეს კი ორი დინამოელის — იმ მატჩზე სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ირაკლი ზოიძისა და თამაშის უშუალო მონაწილის კახი გოგიჩაიშვილის აზრს გიზიარებთ.

**ირაკლი ზოიძე:** საშინელებაა გარედან უყურო, როგორ ანადგურებენ შენს გუნდს. ერთი შანსი რაა, ისიც არ გვქონდა. მიზეზებზე ვერაფერს გეტყვი. ასე ცუდად ჯერ არავის უთამაშია. ერთადერთი, რაზეც ხელს მოვაწერ, ისაა, რომ წაგება ყველას ბრალია, გარდა ჩემი კოლეგა დევაძისა. მე ვიცი, რას ნიშნავს ასეთ მატჩში კარში დგომა. როცა გუნდს თამაში არ მისდის, ყველაზე საცოდავი მაშინ მეკარეა. დევაძემ კი სასწაულები ჩაიდინა — რაც გაუშვა, არცერთი მისი ბრალი არ იყო. იგი ფაქტიურად მარტო ებრძოდა რუმინელებს. ერთ-ორ მომენტზე გავოცდი — როგორ შეიძლებოდა ამ ბურთის აღება-მეთქი.

**კახი გოგიჩაიშვილი:** დღემდე გონს ვერ მოვსულვარ, ეს რა იყო — კოშმარივით მტანჯავს. ყოფილა, თამაშები არ წაგვსვლია, მაგრამ ასე? კუთხური არ ჩამოგვიწოდებია, კარში ვერ დავარტყით, ბიჭებს ვეღარ ვცნობდი. ძალადაკლებულებივით ვიყავით.

**— პირადად შენ როგორ ითამაშე?**

— სამარცხვინოდ, საზიზღრად. ვერც დაცვას დავეხმარე და ვერც შეტევაში მივეშველე ბიჭებს. ეგ კი არა, ვერ გავიქეცი. ვერ აგიღწერ, რა დამემართა და რატომ დამემართა.

**— იქნება რუმინელების კომპლექსი გქონდათ, მაინც ჰაჯია და ლეკეტუში.**

— არა. მაგას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. მსგავსი არაფერი ყოფილა ან რატომ უნდა დავკომპლექსებულიყავით, როცა ბულგარელებსაც ვეთამაშეთ და გერმანელებსაც, სტოიჩკოვიც ვნახეთ და კლინსმანიც. არა, კომპლექსი არ გვქონია.

**— იმ მოარულ ჭორზე რას იტყვით, პრემიებს არ აძლევენ და იმიტომ არ ითამაშესო?**

— ეს მართლაც სისულელეა. როგორ შეიძლებოდა ამის გულისთვის არ გვეთამაშა. ნაკრებში გულით უნდა ითამაშო, ფული აქ მეორეხარისხოვანია. მაგაზე კი თავს დავდებ, რომ ფულზე იმ წუთებში არავინ ფიქრობდა. სხვა შორის, ჩამოსვლისთანავე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იგივე მკითხა — ისე ავღშფოთდი, თავი ძლივს შევიკავე.

**— თუ წაიკითხე, რა თქვა ალან ბოჭშიჩმა ინგლისელებთან მატჩის წინ ეროვნული ნაკრების მაისურზე?**

— არა, სამწუხაროდ არ წამიკითხავს.

**— საქართველოში ყველა უცნაურობასთან ერთად ესეც დაგვჩემდა: წავაგებთ თამაშს და ყველა პირში წყალს ჩაიგუბებს — მაგაზე არაფერი მკითხოთო. ისე გამოდის, თითქოს მარტო მოგებული მატჩების მერე უნდა არიგონ ინტერვიუები. წაგების შეფასებასაც ხომ კაცობა უნდა. რა არის დასამალი? სათქმელი უნდა ითქვას. თუ მტყუან-მართალი ახლავე არ გაირკვა, კარს შესარჩევი თამაშები მოგვადგა და მერე გვიან იქნება.**

— წაგების მიზეზები ალბათ მწვრთნელებმა უნდა ახსნან. რაც შემეხება მე, ასეთი დასკვნა გავაკეთე: როდესაც გუნდს თამაში არ მიდის, უნდა მოიძებნოს 2-3 ფეხბურთელი, ან თუნდაც ერთი, რომელიც დაალაგებს თამაშს, რწმენას ჩაუნერგავს თანაგუნდელებს, შეტევაში გაუძღვება და პირად მაგალითს მისცემს. კი, ჩვენ არ წაგვივიდა თამაში, მაგრამ ვერავინ შეძლო ლიდერობა ეკისრა და გუნდს წინ წაძღოლოდა. იმ დღეს ყველანი მისავათებულები ვიყავით. ორი-სამი კაცი კი არა, გუნდში ოთხი-ხუთიც კი უნდა იყოს, ლიდერობას რომ აიღებს თავის თავზე, იმ დღეს კი ჩვენს შორის ასეთი არავინ აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით დევაძეს, რომელიც თავს იკლავდა, შედეგი კიდევ უფრო კატასტროფული რომ არ ყოფილიყო.

**— იქნებ რუმინელებმა „იფრინეს" ისე, როგორც არასდროს და ფეხიც ამად ვერ გაანძრიეთ?**

— არა მგონია, თავი არც რუმინელებს მოუკლავთ. დაინახეს, რომ ისედაც გვჯობნიდნენ და არ გახსნილან ბოლომდე. ვერც იმას ვიტყვი, რომ მთლად ნახევარი ძალით ითამაშეს-მეთქი, მაგრამ თავის გაგიჟების ამ დღეს არაფერი ეტყობოდათ.

**— მინდვრის საფარმა ხომ არ იმოქმედა?**

— თამაშის წინ მინდორი მორწყეს. აუტანელ სიცხეში ისედაც ბუღი იდგა და ამან სულ მთლად მოგვითავა ხელი, მაგრამ უნამუსობა იქნება ჩემი მხრიდან, ყველაფერი ამას დავაბრალო. განა რუმინელთათვისაც იგივე მინდვრის საფარი არ იყო?

**— ლეგიონერებმა თავი შეინახეს და ბოლომდე არ დაიხარჯნენო. ამაზე რას იტყვი?**

— დავუშვათ და, მართლაც არ გამოუვიდათ ლეგიონერებს თამაში. განა ეს გვაძლევს საბაბს, მათ ეს წაგება ასე ხელაღებით რომ დავაბრალოთ? არა მგონია, ასე ყოფილიყო...

**— საცაა საბერძნეთის ნაკრებს შეეხვდებით. ძლიერი მეტოქის კომპლექსი ხომ არ გაგიჩნდათ?**

— მე მგონი — პირიქით. სხვებისა არ ვიცი, მე კი ბოლმა მახრჩობს. ჩვენ ბერძნებთან ქომაგთა თვალში რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალება გვეძლევა და ამას უკეთესად როდისღა მოვახერხებთ?

ზურაბ ხელაშვილი


სააგენტო „მინერვა"

მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;

— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;

— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს — ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.
ტელ: 93-22-53


# ირანელი მარადონას ოინები და მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი

... მუსულმანური კალენდრით 1323 წელს გურჯისტანის „დინამო" ირანს გაემგზავრა და იქაურ ნაქებ საფეხბურთო გუნდებს „შაჰინს" და მისთანებს „ამჯადიეს" სტადიონზე ირანის შაჰინშაჰის თვალწინ სულ ბდღვირი ადინა... ეს ადრე, ახლა კი...

...ბოლო ინტერვიუში მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, თბილისის „დინამო" ირანში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირზეო. მას მერე ამის შესახებ არაფერი დაგვიწერია, რაკიღა თეირანიდან ტურნირის შესახებ, ფაქტიურად, არანაირი ცნობა არ გვქონდა. დინამოელები ორიოდ დღის წინ დაბრუნდნენ ირანიდან და მეც ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, „დინამოს" დირექტორატის წევრს ვალერი შალიკაშვილს გავესაუბრე. მოლა ნასრედინის სამშობლოში კურიოზებს და საოხუნჯოს რა დალევს, ამიტომ ინტერვიუც სახუმარო გამოგვივიდა.



— ირანის საერთაშორისო ტურნირს „ოქროს პალმა" ერქვა. მიწვევა ტურნირზე ირანის ფეხბურთის ფედერაციამ გამოუგზავნა ჩვენსას, ქართულმა ფედერაციამ კი არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, ჩვენ „დინამო 2"-ზე, რაკიღა „დინამოს" ჩემპიონატის მატჩების გარდა, ნაკრებშიც უწევდა რამდენიმე ფეხბურთელის წარგზავნა. ჯერ თეირანში ჩავფრინდით, სადაც ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები დაგვხვდნენ და, როგორც იტყვიან, თან გადაგვყვნენ. თეირანიდან კი მისგან 1 200 კილომეტრით დაშორებულ მილიონიან ქალაქს, აჰვაზს ჩავფრინდით. ბილეთებს რომ ვიღებდი, ჩეკს დავხედე და თვალებს არ დავუჯერე: 25-კაციან დელეგაციაზე... 200 დოლარი იყო გამოწერილი, ესე იგი, ერთი კაცის ამხელა მანძილზე გადაფრენა 8 დოლარი ჯდებოდა. სიტყვამ მოიტანა და, სიიაფე ირანში აშკარად იგრძნობა. გაზისა და ნავთობის უმდიდრესი საზოგადოება თავისას შვრება, მაგრამ რად გინდა, ამერიკის გამოისობით ირანი ძლიერ ბლოკადაში მოქცეულა და ფაქტიურად პროდუქტი ვერსად გააქვს.

კენჭისყრაზე უმაღლესი ლიგის ექვსი ირანული გუნდის ხელმძღვანელი, კიდევ ერთი მიწვეულის — ბაქოს „ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელი ყაზბეგ ტუაევი და მე გამოვცხადდით. ის-ის იყო, ჩვენი მეტოქის ვინაობა უნდა გაგვეგო, რომ გარედან კივილის მაგვარი ხმა მომესმა; როცა მივიხედ-მოვიხედე, ხელთ მხოლოდ ტუაევი შემრჩა, დანარჩენები სადღაც გამქრალიყვნენ. მერე, რომ დავაკვირდი, ყველანი იატაკზე აღმოვაჩინე, თურმე მოლას დაძახილზე უმალ სალოცავად გართხმულიყვნენ... კენჭისყრისას კიდევ ერთხელ განმეორდა ასეთი რამ, მაგრამ აღარ გამკვირვებია და მომდევნო დღეებშიც ამას ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამდი.

ჩვენი ჩასვლისთანავე პრესამ ერთი ამბავი ატეხა, ასეთი სახელოვანი გუნდი ჩამოვიდა ევროპიდანო. 1981 წლის თასის ამბებიც გაიხსენეს, ამას დაერთო ყაზბეგ ტუაევის ჩვენს მიმართ ნათქვამი ქების სიტყვები და საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით. ამ ამბავმა, ეტყობა, ირანის ფეხბურთის ფედერაციაც აფორიაქა და რაკიღა ირანის ეროვნული გუნდი თურქეთის ნაკრებთან სათამაშოდ ემზადებოდა, მასპინძლებმა გვთხოვეს, როგორც სპარინგ-პარტნიორები, ჩვენს ნაკრებს ეთამაშეთო. ძალიანაც არ მინდოდა ტურნირის წინა დღეს ირანის ნაკრებთან თამაში, მაგრამ უარის თქმა არ გამოდიოდა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ჩვენები ამ თამაშისთვის მოამზადა. აჰვაზის 30-ათასიანი სტადიონი გაიძეძგა, თეირანიდან ლამის მთელი ფედერაცია ჩამოვიდა, ნაკრებიც უძლიერესი შემადგენლობით იყო. თამაშმა 40-გრადუსიან სიცხეში მეტად დაძაბულად ჩაიარა. ირანის ნაკრები ფიზიკურად ჩინებულად იყო მომზადებული, მაგრამ ტოლი არც ჩვენებმა დაუდეს. მატჩის მე-80 წუთზე ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, ირანის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ჩვენმა მეკარემ გელა ჭანტურიამ ივარგა და პენალტი აიღო. ძალზე ძლიერად ითამაშა გოჩა ტრაპაიძემ. შოკლედ, ირანის ეროვნულ გუნდთან ფრედ — 0:0 ვითამაშეთ. მეტად გასახარი შედეგი იყო დასაწყისისთვის: ჩვენ ხომ „დინამო-2"-ით წავედით ტურნირზე, თან რამდენიმე ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში იყო მიწვეული. მატჩის მერე ირანელებმა თვად გვთხოვეს საქართველოში ტურნეს მოწყობა. ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ირანელები დაგვიკავშირდებიან და საქართველოში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვლენ. ერთ მატჩს ნაკრებთან ითამაშებენ, ერთს ჩვენთან და ერთსაც „ბათუმთან".

**— ტურნეზე ბაქოს „ნეფთჩიც" მეორე შემადგენლობით იყო ჩამოსული?**

— არა, ბაქოელები უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ. მათი მთავარი მწვრთნელი ტუაევი იმავდროულად ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელიცაა და „ნეფთჩი" ნაკრების საბაზო გუნდია. ბაქოელთა რიგებში იყო აზერბაიჯანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი 19 წლის ლიჩკინი, რომელსაც „ახალ პონომარიოვს" უწოდებენ და რომლის გადასაბირებლადაც კარგა ხანია „ტრაბზონსფორი" მუშაობს. ტუაევმა გვითხრა, რომ ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე ჩივაძეს რომ ვნახავ, მოველაპარაკები, იქნებ ჩვენი ნაკრებები ერთმანეთს შევახვედროთო. 31 აგვისტოს ბაქოში შვეიცარიის ნაკრები სტუმრობს და ტუაევმაც ყველანი დაგვპატიჟა.

მოკლედ, სიტყვა გამიგრძელდა. ირანის ნაკრებთან მატჩის მეორე დღეს „აბადანს" შევხვდით. ეს გუნდი ირანში ერთ-ერთი უძლიერესია. ვთხოვეთ მატჩი საღამოს დაეწყოთ. მეორე ტაიმში, როცა 0:1-ს ვაგებდით და ვუტევდით, მოულოდნელად სტადიონზე... შუქი გამოირთო. ვერ ვიტყვი, სპეციალურად გააკეთეს ეს მასპინძლებმა თუ რა მოხდა, მაგრამ გუნდზე მაინც იმოქმედა, თავისი წვლილი მსაჯმაც შეიტანა და დავმარცხდით. ისევ ძლიერად ჩაატარა მატჩი ტრაპაიძემ. შეიძლება ითქვას, რომ იგი მარტო ეთამაშებოდა თერთმეტ კაცს...

მომდევნო მატჩი აჰვაზის გუნდთან გვქონდა. მატჩის წინ, საფუძვლიანად რომ გავხურდით და მხოლოდ იმასღა ველოდით, როდის ჩასტვენდა მსაჯი, უცებ ტურნირის ორგანიზატორებმა მინდვრის დატოვება გვიბრძანეს. ვერაფერი გავიგეთ. მალე მინდორზე მეორე ქვეჯგუფის ორი გუნდი შემოვიდა და... მეორე ტაიმი ითამაშა! ჩვენ ხომ გადავირიეთ, მაგრამ ტუაევი სულ გაგიჟდა. მივარდა ორგანიზატორებს და უშვერი სიტყვებით ლანძღა. რაღა უნდა გვექნა, მოედანზე 45 წუთის შემდეგლა გამოვედით.

ტრაპაიძემ ისევ „გაიგიჟა" თავი, მატჩის 65-ე წუთზე ხომერიკის პასის შემდეგ ლამაზი გოლიც გაიტანა. გავიდა 90 წუთი, მსაჯი კი თამაშს არ ამთავრებდა, თანაც ყვითელ ბარათებს აფრიალებდა. ჩემი მონაცემებით, არბიტრმა 24 ყვითელი ბარათი უჩვენა, მეკარეები და მწვრთნელებიც კი არ დაივიწყა და ლამის მაყურებლებზეც გადავიდა. ჩვენი მცველი სახვაძე და იმათი ერთი ფეხბურთელი ურთიერთშეკამათებისთვის გააძევა კიდეც. მოკლედ, მატჩის 97-ე თუ 98-ე წუთი იყო, როცა მინდვრის ცენტრიდან ირანელებმა ჩვენს ჩვენს საჯარიმოში ჩამოაგდეს ბურთი. ჭანტურია მშვიდად ელოდა იოლი ბურთის აღებას, მაგრამ, მოულოდნელად, ირანელი თავდამსხმელი ახტა, ბურთი ხელით დაიჭირა და კარში შეაგდო. გვეგონა, მსაჯი წესის დარღვევას ანიშნებდა, მაგრამ ვითომც არაფერი, მან ხელი ცენტრისკენ გაიშვირა. ის თავდამსხმელი კი გაგიჟებული დარბოდა და თავის ხელს ჰკოცნიდა, ალაჰის ხელიაო — გაიძახოდა. მსაჯმა თქვა, კიდევ ერთი წუთია სათამაშოო. აღშფოთებული ფეხბურთელები მინდვრიდან გამოვიდნენ და წამოვედით სასტუმროში, სადაც ტურნირის ხელმძღვანელები გვეწვივნენ და ბოდიშები გვიხადეს. იმ მსაჯს ექვსი თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია, გოლი კი მაინც ჩათვალეს, თანაც თავს იმართლებდნენ, ხელით მარადონამაც კი გაიტანა ბურთი, დიდი ამბავია, ერთი ასეთი გოლი ჩვენც გავიტანოთო...

მესამე თამაში აჰვაზის კიდევ ერთი გუნდთან ჰქონდა. მატჩის დასაწყისშივე გადელიას ტრავმა მიაყენეს, ტრაპაიძემ კი, ალბათ ამდენი სირბილისგან ძალაგამოლეულმა, გონება დაჰკარგა და ძლივს მოვაბრუნეთ. მერე ხომერიკსაც მიაყენეს ტრავმა. ინალიშვილმაც, რაკიღა კარგა ხნის ნავადმყოფარი იყო, მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვლა მოითხოვა. პირველ ტაიმში ჩუხუამ ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მეორე ტაიმის მეათე წუთზე კი არჩაძემ დაკარგა ბურთი ცენტრში, ირანელმა [illegible] დაარტყა, [illegible] ბით, ირანელები ზანგებივით ბრძოლისუნარიანი და გამძლენი არიან, ასაკს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ოცდაათსგადაცილებულებიც ჩინებულად თამაშობენ. ტექნიკით და ტაქტიკით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ 90 წუთი სულ დარბიან, ათლეტურებიც არიან. ჩააგდებენ ბურთს საჯარიმოში და იქ ბოლომდე იბრძვიან. ირანული ფეხბურთის განვითარებისთვის ფიფას მიერ ერთი ავსტრიელი სპეციალისტია მივლენილი და ირანელები მას ზღაპრულ ხელფასს უხდიან, ისიც ბეჯითად ემსახურება ირანულ ფეხბურთს. მინდვრებსაც კი მისი რეკომენდაციებით უვლიან და მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, მოედნები ჩინებულ მდგომარეობაშია. ირანელები ცდილობენ მეზობელი თურქებივითააყვავონ ფეხბურთი და ამისთვის დიდი თანხების გაღებას არ ერიდებიან. შემოდგომისათვის ამ ტურნირის ტრადიციულად ქცევა და მომავალ წელს მისი თეირანში ჩატარება სურთ. თეირანი ათმილიონიანი ქალაქია, იქ ტურნირს სხვა ეშხი ექნება. თეირანს ჩვენ ყოველწლიურად ვეწვევით ხოლმე.

**— რა აზრი აქვს ტურნირზე წასვლას, თუკი ასეთი საარაკო არაობიექტურობაა, ფეხბურთელები ტრავმებს იღებენ, სათამაშო პირობები საშინელია, და ასე შემდეგ?**

— აზრი როგორ არა აქვს — ფეხბურთელები ფასდაუდებელ გამოცდილებას იღებენ. აზია სულ სხვა საფეხბურთო სკოლაა: ვინ იცის, ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან რამდენი ითამაშებს ნაკრებში. შეიძლება ირანის ეროვნულ ნაკრებს ვერც ვერასოდეს შეხვდნენ.

თქვენ რომ ზემოთ ახსენეთ, არაობიექტურობა და ცუდი სათამაშო პირობებიო, აი, სწორედ აქ უნდა ჩამოყალიბდეს ფეხბურთელი, ასეთ მძიმე პირობებში. განა ევროთასებზე მსაჯები ჩვენდამი მუდამ კეთილგანწყობით გამოირჩევიან? მე ვთვლი, რომ ჩვენებმა დიდი გაკვეთილები მიიღეს. თანაც, ირანში ფეხბურთი პოპულარულობით უკვე დაეწია ჭიდაობას და მალე ალბათ ნომერი პირველი სპორტი გახდება.

**— ზემოთ ახსენეთ, ტრაპაიძემ კარგად ითამაშაო. ამას ირანში სათანადო გამოხმაურება ხომ არ მოჰყოლია?**

— ტრაპაიძემ იმდენად ჩინებულად ითამაშა, რომ რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან და კონტრაქტის პირობებზეც კი ჩამომიგდო საუბარი. თქმა უნდა, შორს დავიჭირეთ: ირანი ა[illegible]ის ქვეყანა, ჩვენი ფეხბურთელი რომ გავუშვათ სათამაშოდ, თანაც მატერიალურადაც მაინცდამაინც ვერც ფეხბურთელი და ვერც კლუბი იხეირებს. ტრაპაიძე ჯერ ახალგაზრდაა, ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიცაა, ამიტომ ირანისთვის ვერ გავიმეტებთ...

სიტყვამ მოიტანა და კონტრაქტებზეც გეტყვით. „აჰვაზის" გუნდში ერთი ზანგი ბიჭი თამაშობდა — ირანელი ზანგი იყო, მუსულმანი. ისეთ მაღალ დონეზე ჩაატარა თამაშები, გადავწყვიტე მეცადა და მასპინძლებს კონტრაქტზე დაველაპარაკებოდი. წარმოგიდგენიათ, ზანგი საქართველოს ჩემპიონატში! ეს ბიჭი 21 წლის იყო და მასპინძლებმა უარი გვითხრეს: ჩვენ რომც გამოვუშვათ, ქვეყნის დატოვების უფლებას მაინც არ მისცემენ, რაკიღა ირანში კანონია, ვერცერთი მორწმუნე მუსლიმანი ქვეყნიდან ტურისტად რაა, იმადაც ვერ გავა, სანამ ირანის შეიარაღებულ ძალებში არ იმსახურებს და პატრიოტულ ვალს არ მოიხდისო. ახლა პატრიოტულ ვალზე: ირანში ორი სატელევიზიო პროგრამაა. ერთში სულ ფეხბურთს — ინგლისის, იტალიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ჩემპიონატებს გადმოსცემენ, მეორეში კი სულ იმას უჩვენებენ, როგორ ბომბავს ისრაელის ავიაცია არაბულ სოფლებს. ქალები მონების რანგში ჰყავთ, ახლაღა გამოაჩინეს ჩადრიდან თვალები და, როგორც გავიგე, საკმაოდ ძლიერი კამპანიაც წამოუწყიათ თავიანთი უფლებების დასაცავად. მოკლედ, შაჰის დროს მისტირიან. ერთსაც გავიხსენებ: აეროპორტში საბუთებს ჩავკირკიტებდი და თურმე ვიღაც ქალისთვის შემთხვევით იდაყვი გამიკრავს. ერთი ამბავი ატყდა, ის ქალი ლამის ჩაქოლეს. ერთი სიტყვით, ფუნდამენტალიზმს ჯერ კიდევ მყარი საფუძველი აქვს, თუმცა დემოკრატიისკენ ლტოლვა შეიმჩნევა. ერთი ფერეიდანელი ქართველიც ვნახეთ, საქართველოშიც დავპატიჟეთ, მაგრამ ჯარში თურმე არც მას უმსახურია და ჩვენი მოპატიჟება მოპატიჟებადვე დარჩა...

... ასე წარუმარტებლად, მაგრამ მაინც მხიარულად დამთავრებულა გურჯთა ბჟრთაობა 1375 წელს მოლა ნასრედინის სამშობლოში...

მამუკა კვარაცხელია



## რეზომ იტანა და იტანა...

ჩინებული ფორმაში მყოფმა რეზო არველაძემ კვლავ გამოიჩინა თავი, ამჯერად — „ვუპერტალერთან" შეხვედრაში. რეგიონალლიგის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ რეზომ ბრწყინვალედ ითამაშა, ორი გოლი გაიტანა, მესამე კი მისი პასით გავიდა და „ჰომბურგმა" 3:0 მოიგო. ამ მატჩს ესწრებოდა „ფეიენოორდის" სელექციონერი, რომელიც თამაშის მერე რეზოს ბინაში სწვევია და კვლავ შეუთავაზებია ჰოლანდიაში გადასვლა. ის კი არა, „მეხელენთან" საქმის მოგვარებაც უცდია. აქეთ „ჰომბურგის" მწვრთნელი ული ზუდე ჰპირდება რეზოს ოქროს მთებს, ოღონდ გუნდში დარჩეს. ყველაზე რეალური კი ისაა, რომ რეზო მაინც „მეხელენში" ითამაშებს. ეს გუნდი ამჟამად კარგ ფორმაში ყოფილა და ზედიზედ იგებს თამაშებს. „მეხელენი" ბელგიის ჩემპიონატში ახლა მეცხრე ადგილზეა და წარმატებული ფინიშის შემთხვევაში არაა გამორიცხული, „ინტერტოტოს" თასის საგზური მოიპოვოს.

## თეთრი მაგნოლია – გაო ჩას

გოჩა ჟორჟოლიანი (ჩინურად გაო ჩა) ჩინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერად რომ შერაცხეს, ადრე შეგატყობინეთ. მესამე ტურია, ჩინეთის ახალი ჩემპიონატი დაიწყო და ამ ქვეყნის გასულ სეზონის ჩემპიონი „შანხაი შენხუა" (შანხაის ყვავილები) სამი მოგებით კვლავ პირველ ადგილზეა. ეგ კიდევ არაფერი, ამასწინათ გაო ჩას მილიარდიანი ქვეყნის მასშტაბითაც კი დიდი პატივი დასდეს. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის – შანხაის მერმა საზეიმო ვითარებაში გადასცა მას მედალი „თეთრი მაგნოლია". ცერემონიალი ერთ-ერთი კალენდარული მატჩის წინ, 60 000 მაყურებლის თვალწინ ჩატარდა. „თეთრი მაგნოლია" თურმე გადაეცემა შანხაიში მცხოვრებ უცხოელს, რომელმაც ამ ოცმილიონიანი ქალაქის ეკონომიკურ, კულტურულ თუ სპორტულ განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

ჟორჟოლიანის ყოფილი ცხუმელი თანაგუნდელები, ჩინეთს წასული მამუკა რუსია და რომეო გოგიტაძე წარმატებით გამოდიან „პუდენში". ჩინეთში მყოფი კიდევ ერთი ცხუმელი, სოსო მალანიაც თურმე კარგად თამაშობს ერთ-ერთ გუნდში. მოკლედ, ამ ინფორმაციის მომწოდებელი თენგიზ პაჭკორიას თქმით, ლტოლვილი ფეხბურთელები ჩინეთს კარგად შეეგუენ.

## არჩილმა ვარჯიში დაიწყო

ტრაბზონში არჩილ არველაძემ უკვე დაიწყო ვარჯიში. ვარჯიში ჯერჯერობით მინდვრის გარშემო სირბილითა და სპეციალურ ტრენაჟორებზე ატროფირებული ფეხის კუნთის აღდგენით ამოიწურება. მაისში არჩილი ბურთით ვარჯიშებზე გადავა, აგვისტოში ან სექტემბერში კი მინდორზე გამოვა.

## დაშავებული დინამოელები

ეროვნული ნაკრების დებიუტანტმა დინამოელმა კარლო კალაძემ XXII ტურის მატჩში 12 აპრილს თბილისში „მეტალურგთან" კოჭის ტრავმა მიიღო და აგერ უკვე ორ კვირაზე მეტია, მინდორზე არ გამოჩენილა. როგორც „დინამოს" ექიმმა ზაქრო თელიამ გვაცნობა, კალაძე მომჯობინდა, სირბილი დაიწყო და ერთ კვირაში მწყობრში იქნება. რაც შეეხება მეორე დაშავებულ დინამოელს – თეიმურაზ გაღელიას, ირანში მიღებული კოჭის ტრავმა თავდაპირველად მოტეხილობა ეგონათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა. თელიასვე თქმით, გაღელია 8-10 დღეში დაიწყებს ვარჯიშს.

კიდევ ერთი დაშავებული დინამოელი დავით მუჯირი „მარგვეთთან" მატჩსაც ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. შეგახსენებთ, რომ „ბენდელას თასზე" ბრწყინვალე თამაშის შემდეგ დარბაზში ვარჯიშისას დათოს ისე გადაუტრიალდა კოჭი, რომ წამოდგომა ვერ შესძლო: დიაგნოზი – კოჭის იოგების გაწყვეტა. მას ოცი დღით ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს, მაგრამ უშედეგოდ: ახლა დათო ასკურავასთან მკურნალობს.


**იყიდება**

ორგანული, თეთრი გამჭირვალე მინა

ზომა 125X75

ტელ: 95-22-56

საღამოს საათებში


## «შევარდენი» არ დაიშლია!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაუწყეთ, რომ 26 აპრილს თბილისის „შევარდენის" ფეხბურთელები კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შეხვედროდნენ. უნდა გადაწყვეტილიყო, დაიშლებოდა გუნდი თუ გააგრძელებდა ჩემპიონატს. შეხვედრა მართლაც შედგა, ფეხბურთელებს ესაუბრა გუნდის დირექტორატის წევრი მალხაზ გუგავა, რომელმაც ფეხბურთელებს ძველი ხელფასებისა და პრემიების გადახდა უახლეს დღეებშივე აღუთქვა. ფეხბურთელებმაც გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩენა გადაწყვიტეს...

რაც შეეხება „შევარდენის" მთავარი მწვრთნელის პოსტს: ცოტა ხნის წინ გუნდში მიბრუნებული მურთაზ ხურცილავა, როგორც გაუწყეთ, ზუგდიდში გადავიდა. ასე რომ, კლუბს სეზონის ბოლომდე ელგუჯა ხუციშვილი და ავთო ნებიერიძე უხელმძღვანელებენ.


**თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

ფირმა „იბერია-65" გაძლევთ უნიკალურ შანსს დაესწროთ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში ინგლისში 8 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით. იჩქარეთ, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. საბუთების მიღება სასწრაფოა.

EURO 96 England

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ფირმა „იბერია-65"-ის ოფისში.
მისამართი: ფურცელაძის ქ. №6
(კ-თ „რუსთაველის" უკან).
ტელ. 93-12-68

EURO 96 England


## „დინამოდან" წამოსვლას სულაც არ ვნანობ



საკამათო არ არის – ჩვენი ძოძუაშვილმა ნიჭიერ ფეხბურთელთა შეკრება, ამიტომაცაა რუსთავის „მეტალურგი" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდი. ბუნებრივია, ამ იმედისმომცემ ახალგაზრდებშიც გამოირჩევიან ფეხბურთელები – მათ შორის ზაზა (რობერტო) ზირაქიშვილიცაა.

ჩვენი საუბარი „სამტრედიასთან" შეხვედრის შემდეგ გაიმართა. იმ დღეს ზაზას აქტიურობამ გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი – პირველი გოლი მისი წაქცევისათვის დანიშნული პენალტით, მეორე კი ზაზას დრიბლინგსა და ჩაწოდებას მოჰყვა. იმ დღესვე ზაზას სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა: „მიხიჩამ" ახარა – გუცაევმა ახალგაზრდულ ნაკრებში მიგიწვიაო. არ ვიცი, რა იყო მიზეზი, მაგრამ ნაკრების შეკრებაზე მისულმა ზაზა მოვარჯიშე ფეხბურთელთა შორის ვერ შევნიშნე. ვარჯიშის შემდეგ სტადიონთან ვნახე.

— ხასიათი გამიფუჭდა. დილით ფედერაციაში ვიყავი დაბარებული. მე და ჩალაძე ერთად მივედით. გუცაევმა შემადგენლობა რომ წაგვიკითხა, ჩემი გვარი მათ შორის არ აღმოჩნდა. გული დამწყდა, მაგრამ არაფერია, წინ შეკრებები, ოფიციალური შეხვედრებია და იმედი მაქვს, მაშინ მაინც გამომიძახებენო.

...წინა დღეს კი სულ სხვაგვარი განწყობა ჰქონდა – სიხარულს ვერ ფარავდა.

— ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ – ფიზიკურად ისე არ ვარ, მე რომ მსურს. ჯანის ნაკლებობას ვგრძნობ და ეს ხელს მიშლის, თორემ სხვამხრივ ყველაფერი რიგზეა. თუმცა, ფიზიკური მოუმზადებლობის მიუხედავად, ნაკრებში გამოძახების იმედი მაინც მქონდა.

— ეტყობა, ვარჯიშით თავს მაინცდამაინც არ იკლავ...

— ვერ ვიტყოდი, რომ ვარჯიშებს ხელს ვაკლებ. მიზეზი სხვაა – მეორე წრისთვის ვერ მოვემზადე. „მეტალურგი" შეკრებაზე რომ იყო, მე მხარამოვარდნილი დავდიოდი და ამან, ბუნებრივია, გავლენა იქონია. მაგრამ ვგრძნობ, რომ თანდათან უკეთ ვთამაშობ და იმედი მაქვს, რომ მალე ის ზირაქიშვილი ვიქნები, როგორიც მინდა ვიყო.

— ალბათ, ჯანის ნაკლებობის გამოა, არასტაბილურად რომ თამაშობ, რადგანაც ყოველთვის ისე ნამდვილად ვერ გამოგდის თამაში, როგორც „სამტრედიასთან"...

— ეს არც მიკვირს, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი ყველაფერს გააკეთებს. თუმცა იმაში კი ვერ დაგეთანხმები, რომ „სამტრედიასთან" კარგად ვითამაშე – უკეთ შემეძლო. საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი გავაცუდე, რაც თავდამსხმელს არ ეკადრება.

— როდესაც ფეხბურთელს „ფიზიკა" აკლია, საკუთარი ძალების რწმენასაც ჰკარგავს. ხომ არ ვცდები?

— არა, არ ცდები. მეც ანალოგიური რამ მემართება. კარებთან დარტყმის მომენტში ვიბნევი – ეტყობა, ამ დროს ფიზიკურად მომზადებული ფეხბურთელებისთვის დამახასიათებელ ნებისყოფის სიმტკიცეს ვერ ვიჩენ. კაცმა რომ თქვას, ალბათ, სწორედ ეს არის „ფიზიკა" – შენი თავისა გჯერა და უფრო ლაღად და თავისუფლად თამაშობ. ასე რომ, ამ ნიუანსზე მუშაობა დამჭირდება. მაგრამ ამ ნაკლს გამოვასწორებ.

— საკუთარი თავის რწმენას ფეხბურთელს ძლიერ მეტოქესთან კარგად ჩატარებული თამაშიც უნერგავს...

— გავიხსენებ შეხვედრას თბილისის „დინამოსთან". მაშინ თამაში არ გამომივიდა – დაძაბული ვიყავი. ხუმრობა ხომ არ იყო, სტუმრად ვთამაშობდით, თანაც „დინამოსთან". „სამტრედიასთან" კი უფრო თავისუფლად ვმოქმედებდი. ამ თამაშში, ვფიქრობ, მთლად ურიგოდ არ მითამაშია.

— ფეხბურთელებთან საუბრისას ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ისინი თბილისის „დინამოს" არა კონკრეტულ ძალასთან, არამედ სახელთან აიგივებენ, უფრო სწორად რომ ვთქვა, მასთან გარკვეულწილად შიშის გამო ვერ თამაშობენ. რა თქმა უნდა, ამ ფეხბურთელებს კლასიც აკლიათ, მაგრამ მათ თამაშში შიში უფრო მეტად იგრძნობა.

— „მეტალურგის" ფეხბურთელი რომ იყო, შენც ჩემსავით დაგემართებოდა – თბილისის „დინამოს" სახელის გახსენებაც კი დაგაბნევდა. შეხვედრის წინ ნორმალურად არც მეძინა, სულ იმას ვფიქრობდი, რა გველოდა ამ მატჩში. და რაც მეტს ფიქრობ, მით უფრო ნაკლებად ავლენ თავს, იმდენად გთრგუნავს ეს სახელი და გუნდი.

— თბილისის „დინამოსთან" პირველი ტაიმის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა რომ „მეტალურგი" მეტოქეს შეუშინდა – თანაბარი ბრძოლა გაუწიალეთ მასპინძლებს. მეორე ტაიმში კი სულ სხვა სურათი ვიხილეთ.

— ისევ „დინამოს" კომპლექსმა იჩინა თავი, თუმცა არ ვიქნები მართალი, ყველაფერი ამას რომ დავაბრალო – „დინამოს" ფიზიკურადაც ვერ გავუძელით. მეორე ტაიმში აშკარად გვაჯობეს. თანაც, მეორე ბურთის შემდეგ წელში გავტყდით და მაინც, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ 0:4 არ უნდა წაგვეგო. „მეტალურგი" არც ისეთი სუსტი გუნდია, ასეთი ანგარიშით რომ აგებდეს, თუნდაც თბილისის „დინამოსთან".

— დავიჯერო, იმდენად დიდი განსხვავებაა თქვენი და „დინამოს" ფიზიკური მომზადების დონეში, რომ მხოლოდ ერთი ტაიმი გაუძელით?

— სად დილომში ვარჯიში და სად – რუსთავის ბაზაზე. სხვა გუნდებს კი ამ მხრივ მეტნაკლებად შეიძლება შევედაროთ – ხომ ნახეთ: „სამტრედიაზე" ნაკლებად არ გამოვიყურებოდით.

— ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, სამტრედიელმა ფეხბურთელებმა მითხრეს, ფოთის შეხვედრის შემდეგ ნორმალურად არც ვვარჯიშობთო...

— არ უვარჯიშიათ? ეს არ ვიცოდი. ალბათ, ამიტომაც ვერ ითამაშეს ჩვენზე უკეთ, მაგრამ, მე მგონი, ნავარჯიშებიც რომ ყოფილიყვნენ, მაინც მოვუგებდით – პასუხისმგებლობა და ბრძოლის ჟინი ჩვენ უფრო გვქონდა.

— ამას პირველი წრის შეხვედრების მიხედვით თქვენზე კაცი ვერ იტყოდა. კარგად მახსოვს, მაშინ ყველას გუნდიდან წასვლაზე ეჭირა თვალი.

— რუსთავმა გუნდი სპონსორების გამოჩენამდე რომ შეინარჩუნა, ძოძუაშვილის დამსახურებაა. ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, ეს კაცი ბევრს ნიშნავს. სწორედ მისი ხათრით და პატივისცემით ვთამაშობდით. კიდევ კარგი, ახლა მაინც გამოსწორდა მდგომარეობა და ფინანსურადაც არ გვიჭირს. ახლა უკვე ხელფას-პრემიების ნაცვლად თამაშებზე ვფიქრობთ. ვიცით, რომ პირველი წრის სიტუაცია არ განმეორდება. ამიტომ მეტია მონდომება, თავდადება და ყველაფერი ის, რაც წარმატების მომტანია.

— საწყენად არ მიიღო და მოედანზე ფლეგმატური მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებ – მხოლოდ ხანდახან თუ გამოცოცხლდები...

— ბევრი მსაყვედურობს იმას, რომ ცოტას დავრბივარ, არ ვთამაშობ და საერთოდ, თავს არ ვილლი. ალბათ, სიმართლეა.

— შემინიშნავს, თამაშის დროს ჩრდილში დგომა გიყვარს.

— იცი, ჩემი თამაშის სტილის გამო მხოლოდ ეპიზოდებში ვერთვები ხოლმე – ეს ნამდვილად მახასიათებს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ფიზიკური მომზადებისა და სისწრაფის მომატების კვალობაზე ნაკლს გამოვასწორებ. საერთოდ, მხოლოდ რამდენიმე შეხვედრაზე შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვითამაშე. ერთი მათგანი, უეჭველია, შარშან ბათუმში ჩატარებულ სათასო მატჩი იყო.

— დავიჯერო, რომ ამ ერთი შეხვედრის გარდა ნორმალურად არ გითამაშია?

— სწორად ვერ გამიგეთ. მე ის არ მითქვამს, რომ მხოლოდ ერთხელ ვითამაშე კარგად. ასეთ შემთხვევაში მოედანზეც არავინ გამომიყვანდა. უბრალოდ, მაშინ თამაში წამივიდა.

... ზირაქიშვილი ჯერ მიხიჩას „დინამოში" გამოჩნდა. რეზო ძოძუაშვილის „დინამოდან" წასვლის შემდეგ კი კარგა ხანი არ ჩანდა. მისი ხელმეორედ გამოჩენაც ძოძუაშვილს უკავშირდება. მანამდე ზაზა მეორე ჯგუფის „ბაჩო-მერანში" თამაშობდა.

— ძოძუაშვილის „დინამოდან" წასვლას ჩემი მენისკიც დაერთო და მეც დავტოვე გუნდი. სხვა გზა არ მქონდა. ფორმა რომ არ დამეკარგა, ერთი წლით „ბაჩო-მერანში" გადავედი. აბა, იმ გუნდში მე ვინ მათამაშებდა, სადაც ტყუპები და ყაველაშვილი იყვნენ. „ბაჩო-მერანის" შემდეგ კი კვლავ ძოძუაშვილმა მიმიწვია, ამჯერად „მეტალურგში".

— „დინამოში" წელსაც მიგიწვიეს და ისევ წამოხვედი იქიდან...

— წელს კი ვვარჯიშობდი, მაგრამ იმ დროს უკრაინაში წასვლას ვფიქრობდი, სეზონის წინ კი კვლავ „მეტალურგში" დავბრუნდი.

— ნანობ, „დინამოში" რომ არ დარჩი?

— არა.

— რატომ? იქ ხომ უკეთესად მოემზადებოდი და დასტატების მეტი საშუალება გექნებოდა?

— „დინამოში", მე მგონი, ნაკლები სათამაშო პრაქტიკა მექნებოდა – ჰა-ჰა, ოთხ თამაშში ერთხელ გამოვსულიყავი მინდორზე, მე კი სისტემატიური თამაში მსურს. გარდა ამისა, მწვრთნელად „მიხიჩა" მყავს – რაღა მაქვს სანანებელი!

— ნუთუ ძოძუაშვილი მართლა ისეთი მწვრთნელია, რომ მისი გულისთვის შეგიძლია უკაპიკოდ ითამაშო?

— გააჩნია, ვისთვის როგორია, ჩემთვის კი იგი მართლაც დიდი ავტორიტეტია.

— როგორც ვიცი, ბევრი ქართველი ფეხბურთელი უცხოეთში სწორედ ძოძუაშვილის დახმარებით მოხვდა. შენთვის არაფერი გაუხერხებია?

— რომ გითხრა, არანაირი ვარიანტი არ მაქვს-მეთქი, მართალი არ ვიქნები. საერთოდ, სანამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან, მანამდე არ მიყვარს ლაპარაკი და არ გეწყინოთ, თუკი ამას ჯერ კიდევ საიდუმლოდ დავიტოვებ. ეს სეზონი დამთავრდეს და მერე ვნახოთ. პასუხსაც მაშინ გეტყვით.

— ბოლო შეკითხვა ფეხბურთს არ ეხება. ცისფერი მთების არ იყოს, შენც ორი სახელი გაქვს — რობერტო და ზაზა. გაგვარკვიე, ეს ორი „სათაური" რა საჭიროა?

— არ ვიცი, საიდან მოიტანეს სტადიონის ინფორმატორებმა, რობერტოს რომ მიწოდებენ, პასპორტში რობერტი მიწერია, თუმცა ამ სახელით არავინ მომმართავს. ოჯახის წევრები, მეგობრები და საერთოდ, ნაცნობები ზაზას მეძახიან.

... ისე, რობერტო კარგად კი ჟღერს, მაგრამ მე მაინც ჩემი სახელი მირჩევნია.

მერაბ მამულაშვილი


უნივერსალური საბანკო მომსახურება

„დისკონტ-ბანკი"

ნებისმიერ ვალუტაში, თქვენთვის მისაღებ ტარიფებით

საქართველო, 380062 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 39ა, მეორე სართული

გენერალური დირექცია. ტელ. 29-02-26

საკრედიტო დირექცია. ტელ. 23-01-14

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დირექცია. ტელ. 23-03-83

## იტალია

„მილანმა“ ვადაზე ადრე მოიპოვა ჩემპიონობა და მეთხუთმეტედ გახდა „სკუდეტოს“ მფლობელი. ამავე ტურში გაირკვა ერთი გავარდნილიც — „პადოვა“ მომავალ სეზონში ქვედა ლიგაში ითამაშებს.

### მილანი 3:1 ფიორენტინა

79 415 მაყურებელი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, დესაი, ვეა (დი კანიო 90), სავიჩევიჩი (ერანიო 72), რ. ბაჯო (სიმონე 68)

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სოტილი, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, კოისი, ბანკელი (ბეტონი 75), რუი კოშტა (მ. ორლანდო 83), რობიატი (ფლაკი 70)

გოლი: რუი კოშტა (13), სავიჩევიჩი (14), ბაჯო (I ტაიმის 47-ე პენალტით), სიმონე (76)

63-ე წუთზე რუი კოშტამ პენალტი ვერ გაიტანა

გაფრთხილება: კოსტაკურტა, პანუჩი, სიმონე, რობიატი

### ნაპოლი 1:0 სამპდორია

30 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, კოლონეზე, ტარანტინო (პოლიკანო 22), პარი, აიალა, კრუსი, ბუზო, ბორდინი, აგოსტინი (ტაკოლა 81), პიცი (დი ნაპოლი 73), პეკია

სამპდორია: ძენგა, საკეტი (ბერტარელი 85), ევანი, ინვერნიცი, ლამონიკა, ფრანჩესკეტი, კარემბუ, ზეედორფი, კიეზა, რ. მანჩინი (მანიერო 55), სალსანო

გოლი: დი ნაპოლი (86 პ)

გაფრთხილება: ფრანჩესკეტი

### პიაჩენცა 4:0 პადოვა

11 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მ. კონტე (ლორენცინი 79), ლუჩი (მაკოპი 72), ტურინი, მორეტი (ბრიოსკი 66), კაჩა, კორინი, კაპელინი

პადოვა: ბონაიუტი (მორელო 86), ნავა, სერაო, ნუნციატა, კუიჩი (მოლინარი 7), როზა, ვან უტრეხტი, კრეჯი (ფიორე 57), ამორუზო, ლონგი, ვლაოვიჩი

გოლი: კაჩა (6), კაპელინი (23), დი ფრანჩესკო (46), მორეტი (49)

### ბარი 4:2 უდინეზე

18 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა (ჯენტილი 37), მონტანარი, მანიგეტი, პარენტე, ბრიოსკი (პ. ანონი 63), რიპა, ყერსონი, ინგესონი, ანდერსონი (ვენტოლა 65), პედონე, პროტი

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი, კოზმინსკი (მატრეკანო 12), ამეტრანო (შონტალბანო 73), კალორი, ბია, ჯანიკედა, დეზიდერი, ბირჰოფი, სტრომა (როსიტო 46), მარინო

გოლი: ანდერსონი (4, 63), მარინო (7), პარენტე (13, 44), ბირჰოფი (83)

გაფრთხილება: ბრიოსკი, დეზიდერი

### რომა 2:2 იუვენტუსი

64 008 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ე. ანონი, კარბონი, ტერნი, ალდაირი, ლანა, მორიერო (სტატუტო 65), კაპიოლი, ტოტი (ფონსეკა 75), ჯანინი (ბალბო 75), დელვეკიო

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, ტორიჩელი, სოუზა, ვერხოვოდი, ტაკინარდი (პორინი 71), დი ლივიო (იუგოვიჩი 64), ა. კონტე, ვიალი, დეშამპი (პადოვანო 46), ლომბარდო

გოლი: დელვეკიო (5), მორიერო (54), კაპიოლი (64; საკ. კარში), პადოვანო (71)

გაფრთხილება: ანონი, ტოტი, ფერარა

### ტორინო 1:0 კრემონეზე

15 000 მაყურებელი

ტორინო: ბიატო, მ. ლონგო, მილანეზე (ბაკი 55), ფალკონე, მალტალიატი, მეცანო, სომეზე (მინაუდო 71), ბერნარდინი (სიმო 55), დიონიჯი, კრისტალინი, კარიჩი

კრემონეზე: რაცეტი, გარსია, ან. ორლანდო, ჯანდებიაჯი, გუალკო, ვერდელი, ფანტინი (პეტრაკი 63), პეროვიჩი (კრისტიანი 29), ფლორიანჩიჩი, მასპერო, ტენტონი (ალოიზი 63)

გოლი: მეცანო (40)

გაფრთხილება: ფალკონე, ფანტინი, გუალკო, ფლორიანჩიჩი

### კალიარი 0:0 ინტერი

22 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, პანკარო, პუშედუ, ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა (ბრესანი 75), სილვა, ვენტურინი, ოლივეირა

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კარლოსი, ძანეტი, ფესტა, მ. პაგანინი, ფონტოლანი (პისტონე 66), ფრეზი, ბრანკა, ბ. კარბონე (კაიო 79), განცი

გაფრთხილება: პანკარო, ოლივეირა, პაგანინი

### ვიჩენცა 0:1 პარმა

17 044 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, დიგნაციო (მენდესი 70), დი კარლო, ბიორკლუნდი, ვივიანი, ამბროზეტი (ამერინი 80), მ. როსი, მურჯიტა, მაინი, ლომბარდინი (ოტერო 79)

პარმა: ბუჩი, მუსი (ბრამბილა 46), ბენარივო, კასტელინი, კანავარო, აპოლონი, სენსინი, დ. ბაჯო (ძოლა 60), კრიპა, პინი, ინძაგი (პირო 81)

გოლი: ბენარივო (79)

გაფრთხილება: აპოლონი, კრიპა

### ატალანტა 1:3 ლაციო

15 000 მაყურებელი

ატალანტა: ფერონი, ბონაჩინა, პავონე (პიზანი 64), კონტე, ვალენტინი, მონტერო, სგრო (მოტარელი 86), გალო, ტოვალიერი, ფორტუნატო (ერერა 92), მორფეო

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა (გოტარდი 88), დი მატეო, გრანდონი, შამოტი, რამბაუდი (ესპოზიტო 67), ფუზერი, კაზირაგი, ფრანჩესკინი (პიოვანელი 57), სინიორი

გოლი: ვალენტინი (12; საკ. კარში), მორფეო (33), სინიორი (58 პ), ესპოზიტო (84)

გაფრთხილება: კონტე, მონტერო, კაზირაგი, ფუზერი, ნესტა, გოტარდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 32 | 20 | 10 | 2 | 53:20 | 70 |
| იუვენტუსი | 32 | 18 | 7 | 7 | 55:33 | 61 |
| ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 51:37 | 56 |
| პარმა | 32 | 15 | 10 | 7 | 43:29 | 55 |
| ლაციო | 32 | 15 | 8 | 9 | 63:38 | 53 |
| რომა | 32 | 14 | 10 | 8 | 46:33 | 52 |
| ინტერი | 32 | 14 | 9 | 9 | 48:29 | 51 |
| სამპდორია | 32 | 13 | 9 | 10 | 54:45 | 48 |
| ვიჩენცა | 32 | 13 | 8 | 11 | 33:34 | 47 |
| უდინეზე | 32 | 11 | 7 | 14 | 40:47 | 40 |
| ნაპოლი | 32 | 9 | 11 | 12 | 26:39 | 38 |
| კალიარი | 32 | 10 | 8 | 14 | 31:45 | 38 |
| ატალანტა | 32 | 10 | 6 | 16 | 35:49 | 36 |
| პიაჩენცა | 32 | 9 | 9 | 14 | 31:47 | 36 |
| ბარი | 32 | 8 | 7 | 17 | 47:66 | 31 |
| ტორინო | 32 | 6 | 11 | 15 | 28:43 | 29 |
| კრემონეზე | 32 | 5 | 11 | 16 | 35:49 | 26 |
| პადოვა | 32 | 6 | 3 | 23 | 39:75 | 21 |

### ბომბარდირები:

სინიორი (ლაციო) — 23
პროტი (ბარი) — 22
კიეზა (სამპდორია) — 20
ბრანკა (ინტერი) — 18
ბატისტუტა (ფიორენტინა) — 18
ბირჰოფი (უდინეზე) — 17

### სერია B

სერია A-ში გადასვლის მებრძოლთა მდგომარეობა ასეთია:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 32 | 15 | 10 | 7 | 42:27 | 55 |
| პერუჯა | 32 | 14 | 10 | 8 | 43:34 | 52 |
| რეჯანა | 32 | 13 | 11 | 8 | 34:25 | 50 |
| ლუკეზე | 32 | 12 | 13 | 7 | 38:34 | 49 |
| სალერნიტანა | 32 | 12 | 12 | 8 | 36:23 | 48 |
| ბოლონია | 32 | 10 | 17 | 5 | 29:19 | 47 |
| ჩეზენა | 32 | 12 | 9 | 11 | 42:38 | 45 |
| პალერმო | 32 | 10 | 15 | 7 | 31:30 | 45 |

## რუსეთი

მე-9 ტური. ალანია — ურალმაში 3:0, ბალტიკა — ჟემჩუჟინა 2:0, ჩერნომორეცი — ზენიტი 0:2, ლოკომოტივი — როსტსელმაში 2:1, როტორი — ტორპედო 2:2, ცსკა — დინამო 1:1, ლადა — კამაზი 1:0, ტექსტილშჩიკი — სპარტაკი 1:1, ნოვგოროდი — კრილია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 9 | 6 | 2 | 1 | 18:8 | 20 |
| სპარტაკი | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 17 |
| ცსკა | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| კრილია | 9 | 5 | 2 | 2 | 8:4 | 17 |
| როტორი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:7 | 16 |
| დინამო | 9 | 3 | 5 | 1 | 9:6 | 14 |
| ზენიტი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| ნოვგოროდი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:8 | 14 |
| როსტსელმაში | 9 | 3 | 3 | 3 | 14:10 | 12 |
| ბალტიკა | 9 | 2 | 5 | 2 | 9:10 | 11 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 5 | 2 | 4:5 | 11 |
| ტორპედო | 9 | 2 | 5 | 2 | 9:11 | 11 |
| ლადა | 9 | 1 | 4 | 4 | 4:10 | 7 |
| ჩერნომორეცი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:13 | 7 |
| ტექსტილშჩიკი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:7 | 6 |
| კამაზი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:15 | 5 |
| ჟემჩუჟინა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | 5 |

## ესპანეთი

38-ე ტური. ატლეტიკო — ვალენსია 2:3; ხიხონი — ბარსელონა 0:3; სოსიედადი — სალამანკა 1:0; სანტანდერი — კომპოსტელა 1:0; სევილია — ბეტისი 1:0; სელტა — რეალი 1:1; დეპორტივო — რაიო ვალეკანო 0:0; ვალიადოლიდი — სარაგოსა 0:0; მერიდა — ატლეტიკი 1:0; ალბასეტე — ტენერიფე 0:0. ესპანიოლი — ოვიედო წუხელ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 38 | 23 | 8 | 7 | 67:29 | 77 |
| ბარსელონა | 38 | 21 | 11 | 6 | 65:33 | 74 |
| ვალენსია | 38 | 23 | 4 | 11 | 72:49 | 73 |
| ესპანიოლი | 37 | 18 | 12 | 7 | 54:32 | 66 |
| ტენერიფე | 38 | 17 | 11 | 10 | 65:50 | 62 |
| ბეტისი | 38 | 15 | 14 | 9 | 57:46 | 59 |
| დეპორტივო | 38 | 15 | 13 | 10 | 60:36 | 58 |
| რეალი | 38 | 16 | 10 | 12 | 66:51 | 58 |
| კომპოსტელა | 38 | 17 | 6 | 15 | 45:49 | 57 |
| სოსიედადი | 38 | 15 | 11 | 12 | 49:47 | 56 |
| სელტა | 38 | 11 | 14 | 13 | 43:46 | 47 |
| სანტანდერი | 38 | 11 | 13 | 14 | 42:57 | 46 |
| ოვიედო | 37 | 11 | 11 | 15 | 39:50 | 44 |
| ხიხონი | 38 | 12 | 7 | 19 | 49:53 | 43 |
| ატლეტიკი | 38 | 10 | 13 | 15 | 37:49 | 43 |
| სევილია | 38 | 10 | 13 | 15 | 38:51 | 43 |
| სარაგოსა | 38 | 9 | 15 | 14 | 44:53 | 42 |
| ალბასეტე | 38 | 10 | 10 | 18 | 50:67 | 40 |
| მერიდა | 38 | 9 | 12 | 17 | 33:53 | 39 |
| რაიო ვალეკანო | 38 | 10 | 9 | 19 | 41:66 | 39 |
| ვალიადოლიდი | 38 | 8 | 14 | 16 | 44:55 | 38 |
| სალამანკა | 38 | 6 | 9 | 23 | 44:76 | 27 |

## გერმანია

30-ე ტური. ჰამბურგი — ლევერკუზენი 2:2; კაიზერსლაუტერნი — ურდინგენი 3:0; ზანკტ პაული — შალკე 2:0; შტუტგარტი — კიოლნი 0:1; აინტრახტი — ვერდერი 1:0; ფრაიბურგი — მიუნხენი 1:0; ლევერკუზენი — კარლსრუე 1:2; დორტმუნდი — ჰამბურგი 1:1; ბაიერნი — ჰანზა 0:1; მიონხენგლადბახი — ფორტუნა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 29 | 16 | 10 | 3 | 64:29 | 58 |
| ბაიერნი | 30 | 18 | 4 | 8 | 58:37 | 58 |
| გლადბახი | 30 | 14 | 8 | 8 | 48:45 | 50 |
| ჰანზა | 29 | 11 | 10 | 8 | 43:37 | 43 |
| კარლსრუე | 30 | 10 | 11 | 9 | 43:41 | 41 |
| შალკე | 29 | 9 | 14 | 6 | 34:33 | 41 |
| მიუნხენი | 30 | 10 | 10 | 10 | 46:41 | 40 |
| შტუტგარტი | 30 | 9 | 13 | 8 | 54:53 | 40 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 13 | 8 | 42:44 | 40 |
| ვერდერი | 30 | 8 | 14 | 8 | 32:35 | 38 |
| ფრაიბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 26:36 | 38 |
| ზანქტ პაული | 30 | 9 | 9 | 12 | 40:44 | 36 |
| ლევერკუზენი | 29 | 7 | 13 | 9 | 33:29 | 34 |
| კიოლნი | 30 | 7 | 13 | 10 | 26:30 | 34 |
| ფორტუნა | 30 | 6 | 14 | 10 | 31:45 | 32 |
| აინტრახტი | 30 | 7 | 10 | 13 | 40:56 | 31 |
| კაიზერი | 30 | 5 | 15 | 10 | 27:35 | 30 |
| ურდინგენი | 30 | 3 | 11 | 16 | 28:49 | 20 |

## ალღუმის ნაცვლად ფეხბურთი

ხვალ, 1 მაისს მორიგ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს ჩვენი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პოლონეთის ნაკრები, რომელიც ბელარუსის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. პოლონელთა მთავარმა მწვრთნელმა ვლადისლავ ტახურსკიმ ამჯერად შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები** — ბოგუსლავ ვიპარლო (სტალი), მაცეი შჩესნი (ლეგია)

**მცველები** — მარეკ იოზვიაკი, იაცეკ ზელინსკი, კშიშტოფ რატაიჩიკი (ლეგია), რადოსლავ კალუჟნი (ზაგლებიე), კაზიმეჟ ვეგრჟინი (გ.კ.ს.)

**ნახევარმცველები და თავდამსხმელები** — რადოსლავ მიხალსკი, გჟეგოჟ ლევანდოვსკი, ტომაშ ვეშჩიცკი, რიჩარდ სტანეკი, იაცეკ ბედნარჟი (ლეგია), მარეკ საგანოვსკი (ლ.კ.ს.), ტომაშ ივანი (ფეიენოორდი), დარიუშ გესიორი (რუხი), ანჯეი იუსკოვიაკი (ოლიმპიაკოსი), ვოიცეხ კოვალჩიკი (ბეტისი), ჰენრიკ ბალუშინსკი (ბოხუმი).

# სანამ ნოემბერი მოვა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი შემო[illegible] კაცია. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი გუნდი ივნისში აუცილებლად ევროპის ჩემპიონი გახდება, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის ინგლისელთა ჩემპიონობა-ვერჩემპიონობა [illegible] 9 ნოემბერს, თბილისში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მთავარია. ჯერ არ არის ცნობილი, შემოდგომაზე კვლავ ვენეიბლზი იქნება თუ არა მეტოქის ხელმძღვანელი, მაგრამ ვინც გინდა იყოს, ძირითადად იმავე ფეხბურთელებს მიიწვევს, ახლა რომ არიან. ყოველ შემთხვევაში, მათ, ამ სტატიაში რომ წარმოგიდგენთ, ალბიონზე ფრიად აფასებენ.

„არსენალის“ გამოცდილი მეკარე დევიდ სიმენი ლამის ინგლისის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ შერაცხონ, „ლივერპულის“ ახალგაზრდა თავდამსხმელს რობი ფაულერს კი ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ.



### მეკარე

ნაკრებისა და „არსენალის“ მეკარე დევიდ სიმენი საკუთარი თავის კრიტიკოსია. ყველა გოლი, რაც კი გაუშვა, ათასჯერ აქვს ვიდეოზე დატრიალებული. ჩართავს ვიდეოს, გვერდით არსენალელ მწვრთნელს ბობ უილსონს მოისვამს და იწყება ყოველი ეპიზოდის დაწვრილებითი ანალიზი. ეს ასეა, მაგრამ განა ხშირად მოსდის შეცდომა? ამბობენ: მისი შეცდომების დასათვლელად ხუთი თითიც საკმარისიაო. მრავალი თვლის, რომ იგი ინგლისელ გოლკიპერთა ყველა დროის ელიტას შეემატა და მათ რიცხვშია, ვისი დიდებული ნახტომებიც ახსოვთ, გაშვებულ გოლებს კი ივიწყებენ.

— დიახ, ჩემს თავს სულ ვაკრიტიკებ. ამბობს სიმენი — იმიტომ, რომ მეკარე შეცდომათა რაოდენობით ფასდება. მე და უილსონი ყოველდღე ვსაუბრობთ. ვიდეოზე კადრს ვაჩერებთ და იგი შეცდომებზე მიმითითებს. ხანდახან არც ვეთანხმებით ერთმანეთს. სეზონის დასაწყისში მიზნად დავისახე მაისამდე ჩემი შეცდომის გამო ხუთ-ექვს გოლზე მეტი არ გამეშვა. ახლა ვუყურებ და ასეთი ოდენ ოთხი-ხუთია.

დევიდი თვლის, რომ მეკარე სულ იმაზე უნდა ფიქრობდეს, როგორ შეიძლებოდა ამა თუ იმ მომენტში კარის გადარჩენა. თუმცა აუღებელი ბურთებიც არსებობს.

— ჩემთვის ყველაზე ცუდი 1991 წლის ასოციაციის თასის ნახევარფინალი იყო — იგონებს გოლკიპერი — მაშინ „ტოტენჰემს“ ვხვდებოდით. საშინლად მახსოვს არა მხოლოდ გესქოინის ჯარიმა, არამედ მთელი მატჩი. ხალხს ეს თამაში და კიდევ შარშანდელი თასების თასის ფინალი დაამახსოვრდება ცუდად — ნაიმმა რომ გამიტანა. ერთადერთი მეკარე, ბურთის მოგერიებისთვის რომ ახსოვთ, ბენქსია. ყველას თვალწინ აქვს 1970 წელს როგორ უკუაგდო პელეს თაური. შესაძლოა მეც ნაკრებში უნდა შევასრულო რაღაც ამგვარი.

32 წლის დევიდ სიმენმა, ხორვატიასთან 23-ედ რომ დაიცვა ინგლისის ეროვნული გუნდის კარი, ამ დღეებში „არსენალთან“ კონტრაქტი გააგრძელა. თან ისე, რომ წინა კონტრაქტის ვადა არ გასვლია. იგი 1998 წლამდე უნდა ყოფილიყო ლონდონის ამ გუნდში, მაგრამ ახლავე საუკუნის ბოლომდე ისურვა იქ დარჩენა. „არსენალში“ კი სიმენი ექვსი წლის წინ „ქუინზ პარკიდან“ გადავიდა.

ახლა მეკარე ცხოვრებით კმაყოფილია, კარგ ფორმაშია და ცდილობს ევროპის ჩემპიონატსაც ასე შეხვდეს.

— ზოგი რამ ჯერ კიდევ დასახვეწი მაქვს. კერძოდ, საკუთარი მცველების მოგორებულ ბურთთან მეტი მუშაობა მმართებს. თუმცა, ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ, ვიდრე ვიყავი. ალბათ იმიტომ, რომ ამ სეზონში ნაკრების ყველა თამაშში მივიღე მონაწილეობა — ამბობს სიმენი.



### თავდამსხმელი

21 წლისას თუ მუხლი აუკანკალდა, ამის გულისთვის არავინ გაასამართლებს. რობი ფაულერს ეს არ ეხება.

— თამაშის წინ არასდროს ვნერვიულობ, არც ხვალ შევდრკები — ამბობდა რობი ხორვატებთან თამაშის წინა დღეს.

ფაულერი მეორედ იყო ნაკრებში. დებიუტი წინა შეხვედრაში, ბულგარელებთან ჰქონდა. მაშინ ტერი ვენეიბლზმა 14 წუთით შეუშვა მოედანზე. მიუხედავად ამისა, ამ ბიჭს გამოუცდელი არ ეთქმის. იგი „ლივერპულის“ ფორვარდია და ამ სახელოვან გუნდში 135 თამაშში 85 გოლის შეგდება უკვე მოასწრო, ამ სეზონში კი ლიგასა და სხვადასხვა თასებზე 36 გაიტანა.

— ბავშვობიდან გოლები გამაქვს. ეტყობა გოლთან ერთად დავიბადე. არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს თავი დიდი ვინმე მგონია, მაგრამ საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდა ვარ. ვიცი რასაც ვაკეთებ, რაც შემიძლია და თუ ორიოდ შესაძლებლობაც მეძლევა, აუცილებლად გამაქვს. ისე კი, თუ დაითარსე, შესაძლოა კარგა ხანს ვერ შეაგდო, ხოლო თუ აეწყო, გაიტან და გაიტან. გოლის შეგდება საუკეთესო რამაა. მე მიყვარს ეს გრძნობა. მას ვერაფერი შეედრება. ზოგი რომ ამბობს, არ მიყვარსო, სტყუის. ჩემზე ამბობენ, ინგლისის უძლიერესი ბომბარდირიაო. არა მგონია. პირველი შირერია. ამ სეზონში მინდა მას გავასწრო. თუ შევძელი, დიდ შედეგად ჩავთვლი — საუბრობს ფაულერი.

შედარებათა ოსტატებმა უკვე თქვეს, რომ იგი ისეთივეა, ჯიმი გრივსი და გერი ლინეკერი რომ იყვნენ. ვენეიბლზი ამ აჟიოტაჟის დაცხრობას არ ცდილობს:

— ხალხი რობის ადარებს გერის და ჯიმის. არადა, მათ კარიერა დაასრულეს, ეს ბიჭი კი ახლა იწყებს. მისი შედარება არავისთან მსურს. ფაულერს ყველა ის თვისება, დიდ ფორვარდს რომ უნდა ჰქონდეს, აქვს, ოღონდ რაღაც სხვანაირია, თავისებური. შარშან საუცხოოდ ითამაშა და არც ეს სეზონი ჩააგდო. პატარაობიდან გოლის გატანა მისთვის ბუნებრივი ჩვევაა. თავის მხრივ ეს იმაზე მეტყველებს, რომ რობი ცივსისხლიანია. ბევრისგან მსმენია — კართან რაც ახლო ხარ, უფრო ღელავო, ეს ბიჭი კი პირიქითაა. მის დარტყმაში საიდუმლო არაფერია. არტყამს ალალად, პირდაპირ და ძლიერად.

რობი ფაულერი ორჯერ სცნეს წლის საუკეთესო ახალგაზრდად.

— ბევრი რამ იან რაშისგან ვისწავლე — ემადლიერება ვეტერანს ჭაბუკი — იგი ახლაც არ იზარებს ხოლმე რჩევის მოცემას. სწავლა მუდმივი რამაა.

ამას წინათ ჰკითხეს, ევროპის პირველობის ფინალში გოლის გატანაზე თუ ფიქრობო. რობიმ უპასუხა, ჩემი გონება ჯერ უახლოესი თამაშებითაა დაკავებულიო.

## ბეკენბაუერმა რეჰაგელი გააგდო

ხვალ მიუნხენში უეფას თასის პირველი ფინალური მატჩია. „ბაიერნი“ მასპინძლობს „ბორდოს“.

შაბათს, ანუ ფინალამდე ოთხი დღით ადრე, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა თანამდებობიდან გაანთავისუფლა გუნდის მწვრთნელი ოტო რეჰაგელი. ბეკენბაუერმა როსტოკის „ჰანზასთან“ თამაშის წაგებიდან (0:1) რამდენიმე წუთის შემდეგ მოიწვია საგანგებო სხდომა, სადაც ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. ზემოხსენებულმა მარცხმა მიუნხენის გუნდი მეორე ადგილზე გადასვა. დორტმუნდის „ბორუსია“ ახლა ბავარიელებს ბურთების უკეთესი სხვაობით სჯობია, ქულები კი თანაბარი აქვთ. თუმცა, „ბაიერნს“ ოთხი თამაში დარჩა, დორტმუნდს კი ხუთი.

გამოცხადდა, რომ სეზონის ბოლომდე მიუნხენელებს თავად პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, 1 ივლისიდან კი ორი წლით გუნდს სათავეში მისი შარშანდელი მწვრთნელი, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგება.

გაბრაზებულმა „კაიზერ ფრანცმა“ ჟურნალისტებს განუცხადა:

— მე არც დორტმუნდი მაინტერესებს და არც ჩემპიონატი. მე მხოლოდ მიუნხენზე ვღელავ. ამიტომაც სასაცილოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რეჰაგელი ასეთ დროს რომ გავუშვი.

გერმანელთა მოწინააღმდეგის ბანაკში კი დიდი სამზადისია. ბორდოელი გულშემატკივრები 15 მაისის საპასუხო მატჩის ბილეთებისთვის უგრძეს რიგში დგანან. ის კი არა, ვილაცეებმა ურიგოდ გაძვრომა მოიწადინეს, რასაც დიდი ჭყლეტა და ათი კაცის საავადმყოფოში დაწვენა, ორმოცისთვის კი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოჰყვა. ბილეთების ფასი 150-1000 ფრანკია, ანუ 30-დან 200 დოლარამდე.

„ბორდოს“ ნახევარმცველი ზინედინ ზიდანე კი კვირას საფრანგეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

### ლაპლას-ტოტო ტირაჟი №29

| | | |
|---|---|---|
| 1 | სამპდორია — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 | იუვენტუსი — ატალანტა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 | პარმა — ტორინო | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 | ლაციო — ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 | კომპოსტელა — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 | ბარსელონა — სევილია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 | რეალი — დეპორტივო | ესპანეთის ჩემპიონატი |

134
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### ბლექბერნი 1:1 არსენალი

29 834 მაყურებელი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიფლი (ბოჰინენი 63), გალახერი, ვილკოქსი, მარკერი, ფენტონი (უორჰერსტი 88), მაკკინლი, ბერგი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, პლატი, მერსონი, ლინიგენი (შოუ 63), კიოუნი, პარლოუ, მოროუ (როუზი 46), რაიტი (ჰართსონი 76), ბერხკამპი

გოლი: გალახერი (13), რაიტი (75 პ)

გაძევება: მაკკინლი (62)

### ბოლტონი 0:1 საუთჰემპტონი

18 795 მაყურებელი

ბოლტონი: უარდი, ბერგსონი, ფაერკლაფი (ლი 69), კოულმენი, ფილიპსი, მაკგინლი, სტაბსი, სელერსი, ტომპსონი, კურჩიჩი, დე ფრეიტასი (პაატელაინენი 74)

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დოდი, ბენალი, მეჯილტონი, პოლი, მონკუ, ლე ტისიე, უოთსონი, შიპერლი, მედისონი (ტისდეილი 62), ვიდრინგთონი

გოლი: ლე ტისიე (26)

### ლივერპული 1:0 მიდლსბრო

40 782 მაყურებელი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი, ბები, კოლიმორი, ბარნსი, სქეილზი, რედნაპი, ტომასი (კენედი 69), მაკმანამანი, ფაულერი (რაში 60), რადოკი

მიდლსბრო: მილერი, კოქსი, ვიქერსი, პირსონი (ვილანი 52), ვაიტი, ბარმბი, ფოლოქი, სტამპი, ჟუნინიო, ბრანკო, კემპბელი (ფიორტოფტი 69)

გოლი: კოლიმორი (70)

### ქუინზ პარკი 3:0 ვესტ ჰემი

18 828 მაყურებელი

ქუინზ პარკი: სომერი, რიდი, ბრევეთი, ეითსი, მაკდონელდი, ბარკერი, პეიტლი (ჩარლზი 47), უილკინსი, დიჩიო, გალენი, სინკლერი

ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრექერი, დიქსი, პოტსი, ბილიჩი, რიპერი, მონკური (უოთსონი 77), როულენდი, ვილიამსონი, პიუზი, კოტი

გოლი: რიდი (59), გალენი (70, 78)

### შეფილდი 2:5 ევერტონი

32 724 მაყურებელი

შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, პემბრიჯი (პაიდი 74), ნიკოლი, უოქერი, ბრისკო, პირსტი (დონალდსონი 81), შერიდანი (უოდლი 51), ვითინგემი, ბლინკერი, დეგრიზი

ევერტონი: საუთჰოლი, ანსუორსი, უოთსონი, სტიუარტი, ამოკაში, ებრელი, კანჩელსკისი, ჰოტიგერი, გრანტი, შორტი, ბრენჩი (რაიდაუთი 46)

გოლი: ამოკაში (4), პირსტი (9), ებრელი (10), კანჩელსკისი (21, 54, 65), დეგრიზი (64)

### ტოტენჰემი 1:1 ჩელსი

32 918 მაყურებელი

ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი, მაბათი, ფოქსი, ანდერტონი, შერინგემი, არმსტრონგი, დოზელი, ვილსონი, კემპბელი, სინტონი (როზენტალი 46)

ჩელსი: ხარინი, მინტო, იონსენი, გულიტი, სპენსერი (შიკოკი 67), ვაიზი, ბარლი (პეტრესკუ 75), მაიერსი, სპეკმენი, ლი, პიუზი

გოლი: პიუზი (35), არმსტრონგი (73)

### უიმბლდონი 0:2 ქოვენთრი

15 790 მაყურებელი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ერლი, ეკოკუ, პოლდსუორსი, გეილი (გუდმენი 68), რივსი, პერი, კლარკი (პარფორდი 68)

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ბაროუზი, ტელფერი, ნდლოვუ, დაბლინი, სალაკო, ვილანი, ჯესი, პიკერინგი, პოლი, შოუ

გოლი: ნდლოვუ (52, 89)

### იუნაიტედი 5:0 ნოტინგემი

53 926 მაყურებელი

მანჩესტერ იუნაიტედი: შმეიხელი, ირვინი, შარპი, პალისტერი, კანტონა, ბექემი, ფ. ნევილი (ჯ. ნევილი 82), სქოულზი, კინი, მეი, გიგზი

ნოტინგემი: კროსლი, პირსი, კუპერი, ჩეთლი, ჯემილი, სტოუნი, ლი, ვოანი, ჰაალანდი, ბარტ-ვილიამსი, როი

გოლი: სქოულზი (41), ბექემი (44, 54), გიგზი (70), კანტონა (89)

ლიდსი — ნიუკასლი წუხელ ჩატარდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 37 | 24 | 7 | 6 | 70:35 | 79 |
| ნიუკასლი | 35 | 23 | 4 | 8 | 63:35 | 73 |
| ლივერპული | 36 | 20 | 9 | 7 | 68:32 | 69 |
| ასტონ ვილა | 37 | 18 | 9 | 10 | 52:34 | 63 |
| არსენალი | 36 | 16 | 11 | 9 | 47:31 | 59 |
| ევერტონი | 37 | 16 | 10 | 11 | 63:44 | 58 |
| ბლექბერნი | 37 | 17 | 7 | 13 | 58:45 | 58 |
| ტოტენჰემი | 36 | 15 | 12 | 9 | 46:36 | 57 |
| ნოტინგემი | 36 | 14 | 12 | 10 | 46:53 | 54 |
| ჩელსი | 37 | 12 | 14 | 11 | 44:41 | 50 |
| ვესტ ჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 42:51 | 50 |
| მიდლსბრო | 37 | 11 | 10 | 16 | 35:47 | 43 |
| ლიდსი | 35 | 12 | 6 | 17 | 39:53 | 42 |
| უიმბლდონი | 37 | 10 | 10 | 17 | 55:70 | 40 |
| შეფილდი | 37 | 10 | 9 | 18 | 47:60 | 39 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 13 | 16 | 42:60 | 37 |
| საუთჰემპტონი | 37 | 9 | 10 | 18 | 34:52 | 37 |
| მანჩესტერ სიტი | 37 | 9 | 10 | 18 | 31:56 | 37 |
| ქუინზ პარკი | 37 | 9 | 6 | 22 | 38:54 | 33 |
| ბოლტონი | 37 | 8 | 5 | 24 | 38:69 | 29 |

# „სიტი" — გავარდება, არ გავარდება...

### ასტონ ვილა 0:1 სიტი

39 336 მაყურებელი

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, მიურეი, სტონტონი, ეჰიოგუ, მაკგრათი, რაიტი, იოაჰიმი (დევისი 76), დრეიპერი, მილოშევიჩი, ჯონსონი, თაუნსენდი

სიტი: იმელი, ბრაისველი, საიმონსი, ლომასი, კერლი, კლაფი, ქინქლაძე, სამერბი, ქუინი, როსლერი, ბრაუნი

გოლი: ლომასი (69)

გაფრთხილება: მაკგრათი, კლაფი, ქუინი

კოკა-კოლას თასის მფლობელი „ასტონ ვილა" მეორე გუნდი გამოდგა, ამ სეზონში „მანჩესტერ სიტიმ" სტუმრად რომ დაამარცხა. პირველი „ლიდსი" იყო. „ვილას" ძლევით ქინქლაძისა და ყაველაშვილის „სიტიმ" პრემიერლიგაში დარჩენის შანსი შეინარჩუნა. კიდევ კარგი მანჩესტერელებმა მოიგეს, თორემ ძლიერ ცუდად ექნებოდათ საქმე: ამ ტურში ხომ მათმა კონკურენტებმა „საუთჰემპტონმა" და „ქოვენთრიმ" აგრეთვე სამ-სამი ქულა მოიპოვეს. ახლა ყველაფერი ჩემპიონატის ბოლო დღეს გაირკვევა, როდესაც „საუთჰემპტონი" „უიმბლდონს" უმასპინძლებს, „ქოვენთრი" „ლიდსს", მანჩესტერის „მეინ როუდზე" კი „სიტის" „ლივერპული" ესტუმრება.

იმ დღეს „ასტონ ვილას" ბომბარდირი დუაით იორკი აკლდა. სხვათაშორის, სწორედ მატჩის წინ დააჯილდოვეს იორკი თავისი კლუბის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზით. მის ნაცვლად ჯულიან იოაჰიმი თამაშობდა, რომელსაც ღირსეულ შემცვლელს ვერ უწოდებდით.

გუნდები ზუსტად ერთნაირად განლაგდნენ მოედანზე. თითქოს სარკის ეფექტიაო, ბრაიან ლიტლმა და ალან ბოლმა სამი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი გაიყვანეს მოედანზე. „სიტის" მეკარეს პირველად 34-ე წუთზე მოუხდა სიმტკიცის გამოჩენა: აიკე იმელი მაგრად დაუხვდა საკუთარი მცველის სტივ ლომასის თაურს. იმ ეპიზოდში ლომასის მცდელობა, ბურთი ჯონსონს არ მისვლოდა, ლამის ავტოგოლით დასრულდა. ტაიმის მიწურულს კი სამი ფრიად სახიფათო მომენტი შეიქმნა. ჯერ, ქინქლაძემ ჯონსონს ბრძოლაში ხელი გაჰკრა, რისთვისაც ჯარიმა დაინიშნა — ალან რაიტის დარტყმული ძელს მოხვდა. შემდეგ ორჯერ სტუმრებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. თავიდან უვე როსლერის გასროლილი მარკ ბოზნიჩმა ნილ ქუინისაკენ მოიგერია, მაგრამ ირლანდიელმა ააცილა. მერე, ქინქლაძემ უგო ეჰიოგუს იშვიათი შეცდომით ისარგებლა, შუა გზიდან დაარტყა, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ.

მეორე ტაიმში „სიტის" ქომაგები თავიანთ ბიჭებს შეტევას სთხოვდნენ. ორჯერ აღშფოთდნენ კიდეც, აქაოდა სტონტონმა და ჯონსონმა საჯარიმოში წესი დაარღვიეს და პენალტი გვერგებაო, მაგრამ 69-ე წუთამდე ვერ გაიხარეს. 69-ზე კი მაიკლ ბრაუნმა მარცხენა ფრთიდან ჩაჰკიდა, ქუინმა ლომასს გადაუგდო, ხოლო ჩრდილო ირლანდიელის თაურის შემდეგ ბურთი ჯერ პოლ მაკგრათს მხარში მოხვდა, მერე კი ბადეში შევარდა.

მომენტები კიდევ იყო. აქეთ კართან სავო მილოშევიჩის თაურისთვის იმელს მკვირცხლი რეაქცია რომ არ დაეხვედრებინა, ანგარიში გათანაბრდებოდა. იქით, სამერბის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ქუინმა მოიპოვა, ამ ორომტრიალში კიტ საიმონსმა დაარტყა, მაგრამ მასპინძლებმა მდგომარეობა განმუხტეს.

თამაშის ბოლოს „ასტონ ვილამ" ფრიად მოინდომა. მეკარე ბოზნიჩიც კი მიაწყდა სტუმართა კარს, მაგრამ ამაოდ.

მატჩის მერე ჩვენს ლონდონელ კორესპონდენტს დავით მჭედლიშვილს ქინქლაძემ უთხრა, რომ „მოგებამ კი გაგვახარა, მაგრამ გასახდელში კონკურენტების წარმატებაც რომ შევიტყვეთ, ხასიათი შეგვეცვალაო". გიო ბოლო ტურში „ლივერპულის" დამარცხებას არ გამორიცხავს, მაგრამ: „ალბათ, „საუთჰემპტონიც" და „ქოვენთრიც" მოიგებენ, რაც ისევ „სიტის" გავარდნას ნიშნავს, თუმცა „ვესტ ჰემის" იმედი უფრო მაქვს: ეგებ მოუგოს „შეფილდს" და მაშინ..." — იმედოვნებს გიო.

# რუსული რულეტი ინგლისში

პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი აუტსაიდერები გამხეცდნენ. „ქოვენთრიმ" ლონდონში „უიმბლდონს" 2:0 მოუგო. სტუმართა მწვრთნელს რონ ატკინსონს ორჯერ მოუწია მინდორზე გასვლა და იქ... ქომაგებისთვის ხვეწნა-მუდარა, ტრიბუნებზე აბრძანდით და იქ იზეიმეთო. 52-ე წუთზე ზიმბაბველმა პიტერ ნდლოვუმ ექვს კაცს რომ ჩაურბინა და გოლი შეაგდო, „ქოვენთრის" ასობით გულშემატკივარი პირველად დარჩა მოედანზე. მიუხედავად დაწინაურებისა, ატკინსონი მაინც ღელავდა, ემანდ, არ გაგვითანაბრონო, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე იმავე ნდლოვუმ მეორეც შეაგდო და აღტაცებული ხალხი ერთხელაც გადაეშვა მინდორზე.

„საუთჰემპტონი" მთლად გლახას, „ბოლტონს" ესტუმრა და დაამარცხა. გოლი სტუმართა ვარსკვლავმა მეტიუ ლე ტისიემ გაიტანა, რომელიც თუმცა ამ სეზონში უმეტესხანს ფორმაში ვერ იყო, ბოლო შეხვედრებში ძველებურად გაიბრწყინა და აგერ, შაბათსაც გადამწყვეტი ბურთი შეაგდო. ლე ტისიემ 26-ე წუთზე ბოლტონელთა მცველის, ჯიმი ფილიპსის შეცდომით ისარგებლა. ფილიპსმა საჯარიმოში ფაირკლაფისთვის ბურთის დაბრუნება ისურვა, მაგრამ ლე ტისიეს მიაწოდა. სტუმარმა ყველაფერი ზუსტად შეასრულა. ამგვარად, „ბოლტონი" პრემიერლიგას სტოვებს. და მაინც, იმ დღეს შეიძლებოდა შეხვედრა სხვა ანგარიშით დამთავრებულიყო, რადგან მასპინძლებმა რამდენიმე საუცხოო შანსი გაუშვეს ხელიდან.

„ქუინზ პარკმა", მართალია, 3:0 მოიგო, მაგრამ „ბოლტონისა" არ იყოს, მასაც არაფერი ეშველება. თამაშის შემდეგ მოგებულთა მწვრთნელმა რეი უილკინსმა რომ გაიგო, „მანჩესტერ სიტიმ", „საუთჰემპტონმა" და „ქოვენთრიმ" მოიგესო, თქვა: სამით ნოლი მოვიგეთ, მაგრამ რად გინდაო. არადა, ქომაგებმა ასეთი გამარჯვების შემდეგ თავიანთ ბიჭებს ოვაცია მოუწყვეს. მოკლედ, „ქუინზ პარკი" ამაყად ჩაეშვა პირველ ლიგაში.

თამაშის გადამწყვეტი მომენტი 47-ე წუთზე იყო. არა, გოლი არ გასულა, მაგრამ მარკ ჰეიტლი გავიდა მოედნიდან. მან სლავენ ბილიჩთან შეჯახებისას ცხვირი გაიტეხა, მის ნაცვლად შესულმა ლი ჩარლზმა კი „ვესტ ჰემი" დაწიოკა. მართალია, ჩარლზს თვითონ არ გაუტანია, მაგრამ თამაშში დიდი გარდატეხა შეიტანა.

„შეფილდმა" შინ 2:5 წააგო „ევერტონთან". ახლა, ბოლო ტურში, ლონდონში „ვესტ ჰემთანაც" რომ დამარცხდეს, მის უკან მყოფმა გაცოფებულმა სამეულმა კი მოიგოს, პრემიერლიგას სწორედ ის დაემშვიდობება. ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეფილდელთა საქციელს „რუსული რულეტის" თამაში უწოდეს. რუსეთის ხელი ამ საქმეში ნაღდად ურევია, რადგან შაბათს ხუთიდან სამი კანჩელსკისმა გაიტანა. კანჩელსკისის პერსონალურ მეურვედ განწესებული, ინგლისის 21 წლამდე ნაკრების მცველი ლი ბრისკო მოედნიდან შოკირებული გავიდა. თამაშის შემდეგ თვით დამარცხებულთა ქომაგები უკრავდნენ ტაშს სეზონის წინ „მანჩესტერ იუნაიტედიდან" 6 მილიონ გირვანქად შესყიდულ რუსს.

ვინაიდან ქართველები აუტსაიდერ გუნდში თამაშობენ, ჩვენი მიმოხილვები, როგორც წესი, ცხრილის ბოლოდან იწყება. ახლა ზევითაც ავიხედოთ. „მანჩესტერ იუნაიტედს" საბრალო „ნოტინგემ ფორესტი" ეწვია და ისეთ დღეში ჩავარდა, შეგეცოდებოდათ. ამ, ბოლოსწინა ტურში მანჩესტერელი ლიდერის თამაშს ხალხის სარეკორდო რაოდენობა დაესწრო. პირველი გოლი 7 მილიონ გირვანქად შეძენილმა სქოულზმა გაიტანა. ეს მისი მე-13 გოლი იყო 16 შეხვედრაში, საგოლე კომბინაციაში კი როი კინი და რაიან გიგზი მონაწილეობდნენ. მეორე კანტონას დარტყმის შემდეგ გავიდა, ოღონდ დევიდ ბექემს თავში მოხვდა და ისე. მესამეში, რომელიც შესვენების შემდეგ გავიდა, კვლავ კანტონა და ბექემი მონაწილეობდნენ. ფრანგმა დენის ირვინს მიაწოდა, მან ბექემს, გზად სქოულზმა გაატარა და საბოლოოდ ბექემმა შეაგდო. შემდეგ მასპინძელთა ოთხი ფეხბურთელი სტუმართა სამეულს დაუპირისპირდა, კანტონამ გიგზს გადააწოდა. უელსელი სქოულზს აწვდიდა, მაგრამ მან კვლავ გაატარა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი წლის საუკეთესო ფეხბურთელმა თავად შეაგდო.

„ლივერპულმა" შინ „მიდლსბროს" სტენ კოლიმორის გოლით მოუგო. მთავარი მოვლენა კი იყო არა საკუთრივ თამაში, არამედ მასპინძელთა დიდი კლუბის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელის იან რაშის განშორება „ენფილდ როუდთან" და მის ქომაგებთან. მატჩის შემდეგ 34 წლის უელსელმა ვარსკვლავმა სტადიონს საპატიო წრე შემოურბინა და თავისი ცხრა ნომრიანი მაისური ტრიბუნაზე ისროლა. იან რაშმა 15 წლის მანძილზე „ლივერპულის" შემადგენლობაში 345-ჯერ გაიტანა. „მიდლსბროსთან" შეხვედრაში 40 ათასი მაყურებელი მის კიდევ ერთ გოლს ელოდა, მაგრამ ვეტერანმა, რომელიც რობი ფაულერის ნაცვლად შევიდა მოედანზე, ეს ვერ შეძლო.

ტიტულის მაძიებელმა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მეტოქემ „ნიუკასლმა" კი წუხელ თბილისურ შუაღამისას ითამაშა სტუმრად „ლიდსთან".

# „დინამო" აქაც ლიდერია

სპორტის სასახლეში დამთავრდა ფინალური ექვსეულის შეხვედრების პირველი ტური. მას შემდეგ, რაც გათამაშებას გამოეთიშა თბილისის „კაქტუსი", კალათბურთის მოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ ჩემპიონატის ლიდერების „ვითასა" და „დინამოს" შეხვედრას, რომელით პირველი ტურის ბოლო თამაში იყო. გუნდებმა მთლიანად გაამართლეს მაყურებელთა მოლოდინი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს კარგა ხანია განაღდებული აქვს ოთხეულში მოხვედრა და მათი შეხვედრა ამ თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა, გუნდებმა მთელი მონდომებით ითამაშეს და შესანიშნავი კალათბურთი აჩვენეს.

მატჩის პირველ წუთნახევარში მეტოქეებმა ბურთი ვერ ჩააგდეს. მაგრამ ეს იმდენად ნერვიულობის ბრალი არ იყო, რამდენადაც ზედმეტი მონდომების. ანგარიში შენგელიამ გახსნა, დინამოელებმა გაათანაბრეს და ასე მიდიოდა მთელი პირველი ტაიმი. წინ მეტწილად „ვითა" იყო ორი-სამი ქულით. უფრო მეტი სხვაობით უპირატესობის მოპოვებას მათ დარსაძე უშლიდა — იმწამსვე სამქულიანს აგდებდა. ტაიმის ბოლოს „ვითამ" შენგელიასა და დადიანის წყალობით 8-ქულიან უპირატესობას მიაღწია 40:32.

მეორე ტაიმში „ვითა" გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და სულ 3 წუთში სხვაობამ გუნდებს შორის 16 ქულას მიაღწია — 51:35.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს და ტაიმის შუა წელზე ანგარიში 60:44 იყო. ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ვითა" ადვილად მოიგებდა მატჩს, მაგრამ „დინამოში" იყო დარსაძე. მან შეაგულიანა პარტნიორები და „დინამოც" მთელი ძალით ათამაშდა. მოედანზე მეორე ტაიმში გამოსულმა ჩერქეზიშვილმა გამთამაშებლობა თავის თავზე აიღო და დარსაძეს შეტევაში ხელ-ფეხი გაუხსნა. მშვენივრად ითამაშა ბეჟანიშვილმაც და — 60:60. იქვე ნაცვლიშვილმა წინ გაიყვანა „ვითა". ქარაბაკმაც დაუმატა და 66:60. თითქოს „ვითა" კვლავ აპირებდა სტატუს-ქვოს აღდგენას, მაგრამ კვლავ დარსაძის სამქულიანი, ჩერქეზიშვილის მშვენიერი გარღვევა და 67:67. ხუთი წუთით ადრე ოთიურიძემ მეორე ტაიმში პირველად წინ გაიყვანა „დინამო". შემდეგ კიდევ ორჯერ ზედიზედ ჩააგდო, რასაც კოკოლიშვილმა უპასუხა — 72:69 „დინამოს" სასარგებლოდ. „ვითა" ბოლომდე იბრძვის, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 47 წამით ადრე ანგარიში 78:73-ია. ახლა უკვე „დინამოა" ახლოს მიზანთან. ნაცვლიშვილის ტყორცნა — 80:77. ბეჟანიშვილის შესანიშნავი გარღვევა და 20 წამით ადრე სხვაობა 5 ქულაა. ქარაბაკის სამქულიანი კვლავ ეჭვის ქვეშ აყენებს „დინამოს" გამარჯვებას 82:80. მატჩის დამთავრებამდე 8 წამია, ბურთი თამაშში დინამოელებს შეჰყავთ და გარბენი. „ვითას" აქვს დრო საიმისოდ, რომ ანგარიში გაათანაბროს, მაგრამ მათი შეტევა უშედეგოდ მთავრდება. ბურთი დინამოელებმა ჩაიგდეს ხელთ და ცხვედიანი წერტილს უსვამს თავისი გუნდის გამარჯვებას — 84:80. „დინამო" ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მეორე ტური 6 მაისს დაიწყება.

სპორტის სასახლე.
საქართველოს ჩემპიონატი.

24 აპრილი
ვითა — შევარდენი 117:72
დინამო — მაკაბი 89:59
ქიმიკოსი — სდასუ 76:72

25 აპრილი
შევარდენი — დინამო 49:121
მაკაბი — ქიმიკოსი 65:73
სდასუ — ვითა 55:106

26 აპრილი
მაკაბი — შევარდენი 94:80
ვითა — ქიმიკოსი 102:80
დინამო — სდასუ 91:56

27 აპრილი
შევარდენი — სდასუ 45:77
მაკაბი — ვითა 65:122
დინამო — ქიმიკოსი 101:73

28 აპრილი
ქიმიკოსი — შევარდენი 83:78
სდასუ — მაკაბი 75:70

ვითა — დინამო 80:84

ვითა: ტურაშვილი (4), დადიანი (11), კოკოლიშვილი (9), ნაცვლიშვილი (13), შენგელია (22), ქარაბაკი (18), სანაძე (3), აბრამიძე, დერიუგინი

დინამო: დარსაძე (30), სხიერელი (3), კილაძე (2), ცხვედიანი (6), ბერძენიშვილი (2), ხოშტარია, ჩერქეზიშვილი (8), ბეჟანიშვილი (23), ოთიურიძე (10)

საქართველოს
XXIX პირველობა

მესამე ტური
27 აპრილი, ვაკე

**გუმარი (8) 15:8 (8) ქორები**

მსაჯი ლევან მგელაძე (43 + 42 წუთი)

გუმარი: ჯიმშელაძე; ბ. იურინი, ჩიქვინიძე, ჯანელიძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, ხუციშვილი; ქერდიკაშვილი, რობიტაშვილი, მთიულიშვილი; მჭედლიშვილი, პარნიკანაშვილი; ობოლაძე (სორდია, 44-52), ნ. მგელაძე, დიდებულიძე (სორდია, 36-41, 53-56). — 2ლ: ჯგუფური (40), ობოლაძე (57); გ (57) და ს (12): მაჩიტიძე

ქორები: წეველიძე; ძნელაძე, ქავთარაშვილი, ალანია, სიხარულიძე (ჩაჩუა, 63); ჩავლეიშვილი, კვინიხიძე; მაჭუტაძე, ირემაძე, კვანტალიანი; ლიბრაძე, კახიანი; დგებუაძე, კაცაძე, გ. გიუნაშვილი (გააძევეს, 41). — ლ: ქავთარაშვილი (2); ს: ძნელაძე (35)

27. IV: გელათი — დინამო 16:6; აზოტი შარშანდელივით არ ეწვია აიას

28. IV: ყოჩები — ლელო 33:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 3 | 3 | 0 | 0 | 157: 14 | 25- 1 | 6 |
| ყოჩები | 3 | 3 | 0 | 0 | 99: 15 | - 0 | 6 |
| აია | 3 | 3 | 0 | 0 | 30: 6 | 3- 0 | 6 |
| გელათი | 3 | 1 | 1 | 1 | 32: 65 | -10 | 3 |
| აზოტი | 3 | 1 | 1 | 1 | 20: 13 | 3- 1 | 2 |
| ქორები | 3 | 0 | 0 | 3 | 17: 40 | 1- 4 | 0 |
| ლელო | 3 | 0 | 0 | 3 | 12: 59 | 0- | 0 |
| დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 9:164 | 0- | 0 |

# წესრიგი მყარდება

დედაქალაქში ერთი სტადიონიღა რომ შერჩენიათ, მორაგბეები დადინჯებულან და მას ერთობაც უფრთხილდებიან — თამაშებს ისე გადაანაწილებენ, ვაკის სტადიონის მოედანი რომ დაასვენონ. აი, ახლაც, გადაბმული წვიმების შემდეგ ასპარეზს აშრობა აღროვეს და უქმეებზეღა გამართეს პარასკევის მატჩები.

ტურის მთავარი თამაში „გუმარი" — „ქორების" შეხვედრა იყო. ხალხს ერთობ ხიბლავდა მწვრთნელების — გურამ მოდებაძის („გუმარი") და თემურ ბენდიაშვილის („ქორები") მორიგი იდეური შერკინების პერსპექტივა და სტადიონზეც საკმაოდ მივიდა — მზიან დარში 500 კაცამდე მოგროვდა, მაგრამ მოდებაძეს ოჯახური მწუხარების გამო საბურთაოდ არ ეცალა.

„გუმარის" გაძღოლა ეტვირთა ბენდიაშვილის გამოზრდილს, აწ კი მოდებაძის თანაშემწე ნუკრი ზვედელიძეს, ვინაც ამოცანას თავი ჩინებულად გაართვა და როგორც მავანმა სათადარიგომ მოსწრებულად შენიშნა, „მოჭადრაკისეული სიბრძნით განახორციელა შეცვლები".

შეცვლა კი მართლაც იმდენი იყო, მსაჯს თავგზას აუბნევდა, წაგებულს კი პროტესტის წერის სალერღელს აუშლიდა. „გუმარის" ერთბაშად სამ მორკინალს — დიდებულიძეს, ობოლაძესა და მჭედლიშვილს გაუტყდა თავი და წასკდა სისხლი, რის გამოც სორდიას სამჯერ მოუწია შემცვლელად დროებით შესვლა. ერთხელ ისეც მოხდა, მოედნიდან გამომავალი უკანვე მიაბრუნეს, ეხლა მეორე დასისხლიანებულის მაგივრად ითამაშეო.

წინა ტურის აყალმაყალისაგან განსხვავებით, სტადიონზე ამჯერად სანიმუშო წესრიგი სუფევდა, რაც რაგბის კავშირის წესრიგის კომიტეტის თავმჯდომარის — მალხაზ ჭეიშვილისა და კომისრის — გამოცდილი მსაჯის ზურაბ რეხვიაშვილის დამსახურება იყო. მათ იმდენი შეძლეს, რომ მოედნის გარშემო არავინ გააჭაჭანეს და არც გაძევებულის მოედნიდან გაყვანა გაუჯანჯლებინებიათ, მაგრამ ერთი დეტალი მაინც გამორჩათ — ჭავჭავაძის გამზირისკენა ლელოში მთელი თამაში ბალახზე ორი ფოტორეპორტიორი იჯდა.

გაძევებას ვერც ამჯერად გადავურჩით. აქაც აღმზრდელ-აღზრდილის მოტივი ამოტივტივდა. მეტოქემ მიძალების შემდეგ ლელო რომ გაუტანა, ნერვებმა უმტყუნა „ქორების" ვეტერან გია გიუნაშვილს, ნაკრებში 11-ჯერ რომ უთამაშნია და მსაჯის აუგი ათქმევინა. ამანაც არ დააყოვნა და „ქორების" 8 ნომერი გამოაგდო. არადა, მსაჯი და გაძევებული კარის მეზობლები არიან, ამ 13 წლის წინ კი სწორედ ლევან მგელაძემ მიუყვანა გიუნაშვილი „ლოკომოტივში" ბენდიაშვილს.

აჩიკო ქავთარაშვილის რეიდით „ქორები" თავიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ მერე საგოლე შანსები გაუშვეს ხელიდან: მე-17, 22-ე, 48-ე და 64-ე წუთებზე გასატანი საჯარიმოები გაუცუდდათ. 70-ე წუთზე ჩავლეიშვილმა კარგი გარღვევა მოაწყო.

„გუმარის" თამაშს ჭკვიანურად წარმართავდა მაჩიტიძე, ვინაც ფეხს ოსტატურად ხმარობდა. დერეფანს „ქორები" იგებდნენ. ღია თამაშში უფრო „გუმარი" ყოჩაღობდა, თუმც არეული ჩანდა. 37-ე წუთზე გადასარევი გარღვევა მოაწყო ჯანელიძემ, გადამწყვეტი ლელო კი ისევ და ისევ ნაკრების კაპიტანმა დიმიტრი ობოლაძემ გაიტანა.

ზაზა ფხაკაძე

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 31-ე ტური
30 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — დორტმუნდი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| შალკე — შტუტგარტი | 1,6 | 2,5 | 3,8 |
| მიუნხენ 1860 — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| ურდინგენი — ლევერკუზენი | 3,0 | 3,0 | 1,6 |
| ჰანზა — ფრაიბურგი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

1 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიოლნი — აინტრახტი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ჰამბურგი — მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ფორტუნა — ზანქტ პაული | 1,4 | 3,0 | 4,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩები
1 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლივერპული | 1,9 | 2,6 | 2,6 |

2 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიდსი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ნოტინგემი — ნიუკასლი | 3,2 | 2,8 | 1,6 |

იტალიის თასის ფინალი. პირველი მატჩი
2 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ატალანტა | 1,3 | 2,8 | 5,6 |

უეფას თასის ფინალი. პირველი მატჩი
1 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ბორდო | 1,25 | 3,0 | 5,6 |

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები
1 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლონეთი — ბელარუსი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| თურქეთი — უკრაინა | 1,6 | 2,8 | 3,2 |

## ევროთასების მოპოვების ფსონები

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,25 |
| ბორდო | 3,1 |

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,6 |
| აიაქსი | 1,8 |

### თასების თასი

| | |
|---|---|
| პარი სენ-ჟერმენი | 1,25 |
| რაპიდი | 3,1 |

ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის ფსონებს ადგილზე გაეცნობით

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | [illegible] | 2-2 | 1-0 | 1-0 | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | 2-0 | 1-2 | 0-0 | | 0-2 | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | | 1-3 | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | 1-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | 2-3 | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | | 1-0 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | 2-5 | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | 2-4 | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | | | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | 1-1 | | 2-1 | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | 2-2 | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | | 0-3 | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | | 0-3 | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | | 1-2 | 3-3 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | 2-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | 1-2 | 3-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | 1-2 | 2-0 | 0-1 | | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | 2-0 |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | 2-4 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | 1-0 | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | 6-4 | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 8-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | 0-3 | 5-0 | 2-1 | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | 4-0 | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | 2-1 | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | 1-0 | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | 3-1 | 4-0 | 2-0 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | 4-1 | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | 3-3 | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | 0-0 | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | 0-1 | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 2-1 | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | 3-2 |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | 0-1 | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | 1-2 | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 4-1 | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | 1-0 | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | 1-1 | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | 1-3 | 1-3 | 2-0 | 1-0 | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | 1-0 | 4-3 | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | 2-3 | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 1-2 |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | 2-1 | 2-0 | 1-0 | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | 1-5 | 3-2 | 0-0 | 0-0 | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 3-1 | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | 1-0 | 2-0 | 2-1 | 4-2 | 0-0 | 4-3 | 2-5 | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | 1-0 | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 0-2 | 2-3 | 2-4 | 1-0 | 3-0 | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# ატლანტის გზა ბორჯომზე გადის

Atlanta 1996

ქართველ ძიუდოისტებს და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს ამ ეტაპზე განსხვავებული მიზნები აქვთ. მოჭიდავეებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში, გამოარკვიეს ლიცენზირებულთა რაოდენობა და უკვე გრძელვადიანი საოლიმპიადო პროგრამის პირველ ნაბიჯებს გადიან. ძიუდოისტებმა ევროპული ტურნე მიილიეს, მაგრამ ჩემპიონატი წინა აქვთ. ევროპა-ევროპად, მაგრამ მათ საოლიმპიადო პროგრამაშიც ამ შეჯიბრებას ერთ-ერთი ეტაპის სახე აქვს მიცემული. მიუხედავად მიზანთა სხვადასხვაობისა, ამ ორი სახეობის წარმომადგენლებმა (სხვათა შორის, ოლიმპიადაზე სწორედ ამათგან ველით ყველაზე მეტ წარმატებას) შეკრების ადგილი ერთი და იგივე — ბორჯომის სანატორიუმი „ლიკანი" შეარჩიეს.

თუ როგორი ადგილია ლიკანი, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. იმას დავსძენთ, რომ სპორტსმენის მომზადებისთვის იქაური ბუნებრივი პირობები პრაქტიკულად იდეალურია. თანაც ახლა, როცა სანატორიუმში სულ რამდენიმე დამსვენებელია, შეიძლება ითქვას, რომ ათლეტები იქაურობას სრულად „დაეპატრონენ". აი, ნამდვილმა პატრონმა, „ლიკანის" მთავარმა ექიმმა ბატონმა პეტრე იოსელიანმა — თქვენ ოღონდ ბევრი მედალი ჩამოიტანეთო და — სანატორიუმის მთელი პერსონალი დარაზმა. ბიჭებს არაფერი აკლიათ, ნებისმიერი სახის ვარჯიშის ჩატარება იქვე, ტერიტორიაზე შეუძლიათ. ის კი არა, დღეში ორჯერ, ვარჯიშების შემდეგ ცხელი წყალიც აქვთ, რაც, დღევანდელ პირობებში დიდ ფუფუნებად ითვლება.

ლიკანში რომ ჩავედი, ძიუდოისტებმა ის-ის იყო დაამთავრეს 10-კილომეტრიანი კროსი. დედამიწის ზურგზე სპორტსმენი არ მეგულება, ამხელა მანძილზე სირბილი (გინდა მარათონელიც იყოს) დიდად სიამოვნებდეს. რაღა ძიუდოისტები იქნებოდნენ გამონაკლისი? მაგრამ მათი პოზიცია ასეთია — საჭიროა? უნდა ვირბინოთ. სხვანაირად წარმატებას ვერ მივაღწევთ.

საღამოს კი ორივე გუნდს საათნახევრიანი კალათბურთის თამაში ჰქონდათ. სანატორიუმის მოედანზე პირველები მოჭიდავეები შევიდნენ. ცოტა ძნელი გასაგები კი იყო, რა ერქვა ამ თამაშს. აქ იყო ელემენტები ჭიდაობიდან, რაგბიდან, ამერიკული ბურთაობიდან, კრივიდან, მაგრამ... მაინც კალათბურთი იყო, რადგან საბოლოო მიზანი ბურთის კალათში ჩაგდება გახლდათ. მთავარი მწვრთნელი გია გალდავაც თამაშობდა, ოღონდ საუკეთესო ნამდვილად ემზარ ბედინეიშვილი იყო. სხვათა შორის, ჩასულიც არ ვიყავი, ბედინეიშვილმა „მანჩესტერ სიტისა" და ქინქლაძის (აქაც ქინქლაძე!) ბოლო ამბები გამომკითხა და არც რუმინეთში გასამგზავრებელი შემადგენლობის კითხვა დავიწყნია. იმასაც გეტყვით, რომ ემზარმა შესანიშნავად იცის რა ხდება ნებისმიერ ქვეყნის საფეხბურთო ლიგაში, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია და ა. შ. მოკლედ, ეს ბიჭი ჭიდაობით რომ არ იყოს დაკავებული, „სარბიელის" საფეხბურთო განყოფილებაში მუშაობას ნამდვილად შესთავაზებდა კაცი...

კალათბურთი მხოლოდ ავთო გოგოლიშვილს არ უთამაშია. თავისი ძველი ტრავმის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ერიდება სათამაშო სახეობებს, სამაგიეროდ ალპინიზმში ცდის ძალებს — ვგონებ, ბორჯომის ხეობაში მთა არ დარჩა, ავთო ორ-ორჯერ რომ არ იყოს ასული. მთაში სიარული კარგიაო, თან ბუნებითაც ვტკბები და ფეხებსაც ვტვირთავო — მითხრა.

ძიუდოისტების კალათბურთი უფრო ახლოს იყო იმასთან, რაც ჯეიმს ნეისმითმა ამ ასიოდე წლის წინ მოიგონა. მთავარი მწვრთნელი აქაც მოედანზე იყო, მაგრამ ბერდია გუგავა ვერ გახდებოდა საუკეთესო მოთამაშე. ჩვენი საკალათბურთო ნაკრების მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი იქ რომ ყოფილიყო, თავის მოგვარეს, სოსოს, უთუოდ წაიყვანდა თავის გუნდში. მაგრამ მთავარი მერე დაიწყო — თამაშის შემდეგ ალექსი დავითაშვილმა და ივერი ჯიქურაულმა (შესაბამისად, გადაღლისა და ავადმყოფობის გამო ინტენსიურად არ ვარჯიშობენ) „მინუს პიატი" გააჩაღეს. დავითაშვილმა საიდანაც ისროლა, იქიდან ჩააგდო. ისე, საინტერესო იქნება მისი გაჯიბრება სანაძესთან ან ცხვედიანთან...

ვარჯიშის შემდეგ, თავისუფალ დროს, ბიჭები ნარდით, დომინოთი, ჭადრაკით ან „ჯოკერით" ერთობოდნენ. მხოლოდ ნარდის „ტურნირს" დავესწარი. დავით ხაზალეიშვილის მწვრთნელმა, ომარ მერაბიშვილმა ყველა მეტოქე ისეთ დღეში ჩააგდო, ყველა ჩვენი სპორტსმენი ეგრე რომ უსწორდებოდეს მოწინააღმდეგეებს, რაღა გაგვიჭირდება.

ისე არ იფიქროთ, თითქოს სპორტსმენები ძირითად საქმეს არ აკეთებდნენ. უბრალოდ, ის მოგახსენეთ, რაც ჩემი იქ ყოფნის რამდენიმე საათში ვნახე. ბოლო მიზანთა მიზანის — ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ სჯობს ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

### გია გალდავა
(თავისუფალი ჭიდაობა)

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ყველა შეკრება, რომელიც გეგმაში ჩასმული გვაქვს, ოლიმპიადის მოსამზადებელი ეტაპია. აქ, ბორჯომის შეკრებაზე, ორი მიზანი გვაქვს — დასვენება და ფიზიკური მომზადება. ამჯერად სპეციალურ მომზადებას არ გავდივართ, ბიჭებს არც ზედმეტად ვტვირთავთ. ვმუშაობთ აღდგენაზე და თითოეულ ოლიმპიელთან ინდივიდუალურად, ხარვეზებს ვასწორებთ.

სამ დღეში ერთხელ ხალიჩაზეც შევდივართ, ოღონდ იქაც არაინტენსიური ვარჯიშებია. ძირითადად კი, როგორც გითხარით, ფიზიკურად ვემზადებით.

**— რა მდგომარეობაში არიან ჩვენი ლიცენზირებული მოჭიდავეები?**

— სანამ თითოეულზე ცალკე ვისაუბრებდეთ, საერთო მდგომარეობას მოგახსენებთ. ლიცენზიების მოპოვებით ბიჭებმა მორალურის გარდა, მატერიალური სტიმულირებაც მიიღეს — ხელფასები ყველას გაეზარდა. ოლიმპიადაში მონაწილეობა მათთვის დიდი სიხარულის მომტანია, ამდენათ მათში დადებითი ემოციები სჭარბობს. ყველა ხალისიანადაა და გულიანად ვარჯიშობს. სიზარმაცის ელემენტი გამოირიცხა. არადა სპორტსმენებს, გარკვეულ ეტაპზე, ეს ახასიათებთ ხოლმე.

ავთო გოგოლიშვილი სერიოზული სპორტსმენია, ნაღდი პროფესიონალი. იგი ძირითადად თავის თავზე მუშაობს და მე, ხანდახან, რაღაც-რაღაცეებში ვეხმარები. ჩამოტანილი გვაქვს ვიდეოფირები მისი მოწინააღმდეგეების ჭიდაობით. ყველას ცალ-ცალკე ვსწავლობთ.

ავთო დიდხანს არ ჭიდაობდა, ამიტომ კუნთები ცოტა მოდუნებული აქვს. ახლა ვმუშაობთ კუნთების აღდგენაზე და რეაქციის გაუმჯობესებაზე. ტექნიკაზე სპეციალური ვარჯიში მას არ სჭირდება — მხოლოდ გამეორება უნდა. წელან რეაქცია გითხარით, ამაში სისწრაფეს არ ვგულისხმობ. ლაპარაკია იმ მომენტის დაჭერაზე, როცა ავთომ ფანდი უნდა დაიწყოს, აგრეთვე, როცა მეტოქე ილეთს წამოიწყებს, რეაგირება როდის გააკეთოს. თავის დროზე გოგოლიშვილს სისწრაფეც და რეაქციაც კარგი ჰქონდა — უბრალოდ, ახლა ამას აღდგენა სჭირდება. ჩემი აზრით, ავთომ სერიოზულად უნდა იფიქროს ატლანტის მედალზე. მით უმეტეს, რომ მეტად „ფილკიანი" მოჭიდავეა. ხომ გახსოვთ, ევროპის ჩემპიონატზე ერთ შერკინებაში მეტოქემ მტკივან ფეხზე ჯვარედინი ჩავლება აუღო. მოჭიდავეთა 90 პროცენტი ამას ვერ უძლებს და თავს ატრიალებინებს. გოგოლიშვილმა კი დაიჟინა და მეტოქეს არაფერი გააკეთებინა...

ელდარ კურტანიძე ევროპის ჩემპიონია და ატლანტაში მას უკვე გაათკეცებული ყურადღებით დაეჭიდებიან. კონკურენტებიც მეტად ძლიერი ეყოლება — ირანელი რასულ ჰადემი, ამერიკელი მელვინ დუგლასი, იგივე ხადარცევი და მურთაზალიევი... ამჯერად ელდართან სპეცვარჯიშებს ვატარებთ. მას აქვს ძალიან ძლიერი, ეგრედ წოდებული გამშლელი კუნთები, რომლებიც, ფაქტიურად, არ ეღლება. მაგრამ ამ სახის კუნთები უფრო მოკრივეებს და ძალოსნებს სჭირდებათ. რაც შეეხება მოჭიდავეთათვის უფრო მნიშვნელოვან მოსაქაჩ კუნთებს, შედარებით სუსტი აქვს და მათ გასაძლიერებლად ვარჯიშია საჭირო. კურტანიძე ძირითადად ჭიდაობს ძალის სისწრაფისა და ხასიათის ხარჯზე. ეს თვისებებიც უნდა განვავითაროთ. მისი მომზადების პროგრამაში ჩავრთეთ ვარჯიში სახტუნაოთი: ფეხების გასაძლიერებლად.

ხალიჩის გარეთ მიმდინარე ამბებსაც გეტყვით — კურტანიძემ ახლახან მიიღო ბინა, მეგობრები მანქანას ჩუქნიან, მატერიალური მდგომარეობაც გამოუსწორდა. მოგეხსენებათ, ლტოლვილი ბიჭია და მთელი ოჯახი მის კისერზეა, ამიტომაც, ეს ფაქტები მისი განწყობისთვის ბევრს ნიშნავს. ახლა გაცილებით უფრო კარგად და ხალისიანად ვარჯიშობს. იმის თქმა ზედმეტიც მგონია, რომ ელდარმა ატლანტაში მხოლოდ მედალზე უნდა იფიქროს.

ზაზა ტყეშელაშვილი თავის დროზე მეტად სერიოზული მოჭიდავე იყო. სამი წლის წინ იგი პროფესიულ ჭიდაობაში გადავიდა. იქ სხვა სტილია, ბევრია გდებითი, ეფექტური ფანდები, რომლებიც ჩვენს ჭიდაობას არ ესადაგება. დგომში ზაზას პრობლემა არა აქვს — ვერავინ უგებს. გასაუმჯობესებელი აქვს ფეხის დაცვა და ჩოქბჯენი. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან სამი წლის განმავლობაში ამ ელემენტებზე არ უმუშავია. ფიზიკური მომზადება და სუნთქვა ძალიან კარგი აქვს, სამაგიეროდ ცოტა სისწრაფე აკლია. უმთავრესი კი მაინც ფეხის დაცვაა.

ზაზა თურმანიძე ძლიერი მოჭიდავეა. მართალი გითხრათ, ევროპის ჩემპიონატზე მისი ჭიდაობა არ მომეწონა — იგი დიდი სპორტსმენია და აშკარად მეტი შეუძლია. ამჯერად წონას იკლებს. ვმუშაობთ ძალაზე. წელზე დატვირთვებს არ ვაძლევთ, რადგან ქრონიკული რადიკულიტი აქვს და ვშიშობთ არ გაურთულდეს.

ზაზას ერთი დიდი პრობლემა აქვს — პრაქტიკულად არა ჰყავს სპარინგ-პარტნიორი. წელიწადში ერთ-ორ შეჯიბრებაზე მიდის და თავისი დონის სპორტსმენებს მხოლოდ იქ ხვდება. საქართველოში არ არიან იმისთანა მძიმეწონოსნები, ვარჯიშებზე თურმანიძეს წინააღმდეგობა რომ გაუწიონ. სხვები ჯერ ძალზე ახალგაზრდები არიან და ზაზას სათანადოდ ვერ „ღლიან". არადა პარტნიორმა წინააღმდეგობა თუ არ გაგიწია, ისე რა აზრი აქვს.

**— ლიცენზირებული მოჭიდავე ოთხი გვყავს, შეკრებაზე კი თორმეტი...**

— ეს იმიტომ, რომ საქართველოში მწვავედ დგას სპარინგ-პარტნიორის პრობლემა. სხვა სპორტსმენები ლიცენზირებულების დონისა არ არიან. ამიტომ მათ ერთი პარტნიორი არ ყოფნით. ერთ ლიცენზირებულს ერთ ვარჯიშზე სამი პარტნიორი სჭირდება — ახალგაზრდები სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ ძლიერებს და ესენიც დაუტვირთავნი რჩებიან.

**— ბორჯომიდან ატლანტამდე კიდევ რა ეტაპები გაქვთ გასავლელი?**

— ამ შეკრებას 1 მაისს ვამთავრებთ. შემდეგ ორი ტურნირია — მინსკისა და ლაიფციგის. სავარაუდოდ, თითოეულ მათგანზე ორ-ორ ლიცენზირებულს ვაჭიდავებთ. 4 ივნისიდან ქობულეთში გავემგზავრებით დასვენებით შეკრებაზე. 15 ივნისიდან თვის ბოლომდე კისლოვოდსკში რუსეთის ნაკრებთან ერთად ფიზიკურად მოვემზადებით, ხოლო 1-15 ივლისს აქვე, ბორჯომში ჩავატარებთ ოლიმპიადის დასკვნით შეკრებას.

### ბერდია გუგავა (ძიუდო)

— ბორჯომის შეკრება ევროპული ტურნეს შემდეგ გავმართეთ. გვსურს თან დავასვენოთ ბიჭები, თან ფიზიკურად მოვამზადოთ. გვაქვს კროსები, შტანგა და ტრენაჟორები. ტატამზეც შევდივართ.

ეს შეკრება გახლავთ ევროპის ჩემპიონატისთვის (16-19 მაისი, ჰაგა) მზადების ერთ-ერთი ეტაპი. თავისთავად, ოლიმპიადისთვისაც, რადგან ევროპას მაინც განვიხილავთ, როგორც საფეხურს წლის უმთავრესი შეჯიბრების გზაზე. იმასაც გეტყვით, რომ ამ შეკრებაზე, ისევე როგორც მთელს ციკლში, ვმუშაობთ ყოველგვარი მეცნიერულად მომზადებული პროგრამის გარეშე. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობები არ არის. ვარჯიშები მიმდინარეობს ძველი, ტრადიციული მეთოდით — ინტუიციაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

**— ნაკრების წევრთა მდგომარეობა გვაინტერესებს. რას აკეთებს თითოეული მათგანი ამ შეკრებაზე?**

— წონების მიხედვით გეტყვით. გიორგი ვაზაგაშვილი, ტრადიციულად, თავისი გეგმით ემზადება სახლში. დიდ სპორტსმენებს უცნაურობები ახასიათებთ, ასევეა გიაც — უჭირს სახლთან განშორება. როცა შეკრებაზეა — ვერ ვარჯიშობს სათანადოდ. ასეა შეჩვეული. მე რომ რამე შევცვალო და საქმე გავაფუჭო — უარესი იქნება. ისე, ამოდის ხოლმე აქ და თავისი მზადების შესახებ საქმის კურსში გვაყენებს. მე მისი მჯერა — პროფესიონალია და იცის, რა გააკეთოს.

გიორგი რევაზიშვილი ძალიან კარგად ვარიშობს. ამ ბოლო დროს ძალიან მოუმატა. იმაზე მეტს იტვირთება, რასაც ვუგეგმავთ. მაგალითად, კროსზე დამატებითი ერთი წრე მოითხოვა. იძულებულები ვართ, გავაჩეროთ ხოლმე, თორემ შეიძლება გადაიწვას. თუ ევროპის ჩემპიონატზეც ისეთ ფორმაში იქნა, როგორიც ტურნეზე იყო, კარგ შედეგს მიაღწევს.

ლადო დგებუაძეს არასდროს უყვარდა ფიზიკური მომზადება, კროსი და შტანგა, მაგრამ რაც ამ შეკრებაზე ირბინა, იმდენი, მგონი, ცხოვრებაში არ ურბენია. გამძლეობას ნელ-ნელა უმატებს. მას დიდი შესაძლებლობები აქვს და ყოველდღე ახალ-ახალ სიმაღლეზე უნდა ავიდეს. ერთს ვიტყვი — ძიუდოში მისმა დაბრუნებამ უპრობლემოდ ჩაიარა.

სოსო ლიპარტელიანი თავადაც მიხვდა: თუ სათანადო გამძლეობა არ ექნა, მისი ჭიდაობის სტილით დიდ შედეგს ვერ მიაღწევს. აქ ძირითადად გამძლეობაზე მუშაობს, სხვა მხრივ პრობლემები არა აქვს.

გიორგი წმინდაშვილი, ამ კუთხით, ფიზიკური მომზადებით ყველაზე კარგ მდგომარეობაშია. სპორტული ბიჭია, უყვარს ვარჯიში, ენერგიაც დიდი აქვს და გამძლეობაც. ერთადერთი, რაც ხელს უშლის — გამოუცდელობაა. ამის გამო ფსიქოლოგიურად სუსტადაა მზად, იძაბება და ეს დაძაბულობა ღლის ხოლმე. ახლა ევროპაში ბევრი იჭიდავა და, ვფიქრობ, ფსიქოლოგიური დაბრკოლებები მოეხსნება.

მევლუდ ლობჟანიძისთვის ფიზმომზადება და გამძლეობა აქილევსის ქუსლია. თუმცაღა, ახლა კარგად ვარჯიშობს — კროსებს დარბის და ჯანზეც მოვიდა. მის ორგანიზმს ცუდი აღდგენა აქვს. მას დაღლილობის მოსახსნელად გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი დრო სჭირდება.

დავით ხახალეიშვილი იმ დონის ძიუდოისტია, რომ მის რჩევებს ხანდახან ყურს აქეთ ჩვენ ვუგდებთ ხოლმე. რაღაც-რაღაცა ელემენტები თავად შემოგვთავაზა. ძალიან ინდომებს. კროსებზე ჯერ ბოლომდე არ ვტვირთავთ, სამაგიეროდ შტანგაზე და ტრენაჟორებზე ინტენსიურად მუშაობს. მოძრაობის გასაუმჯობესებლად სახტუნაოთი ვარჯიშიც დაამატა. წონის პრობლემა აქვს, რის გამოც ფეხები ეღლება. შეკრების დასაწყისში 142 კგ-ს იწონიდა. ვვარაუდობთ, რომ ევროპისთვის 135-ზე ჩამოვა. თუ ასე მოხდა, ოლიმპადაზე 130 იქნება — ეს მისთვის ნორმალურია. სუნთქვა გაიუმჯობესა და უკვე აღარ უჭირს. მართალი გითხრათ, წარმოუდგენლად მიმაჩნია, დათომ ვინმესთან ფიზიკური მომზადების გამო რომ წააგოს.

ალექსი დავითაშვილი მხოლოდ ევროპაზე იჭიდავებს აბსოლუტურს. იგი ვარჯიშით გადაიღალა და გადაიწვა. ამის გამო მთელი ღამეების განმავლობაში არ ეძინა. ახლა ვასვენებთ, მაგრამ მაინც აქ გვყავს. ცოტა გამოვიდა მდგომარეობიდან, თბილისის შეკრებაზე კი უკვე სრულფასოვნად ივარჯიშებს.

აქვე გვყავს ივერი ჯიქურაულიც. მან ფილტვების ანთება გადაიტანა. პრაქტიკულად ჯანმრთელია, წამლებს აღარ იღებს. ძირითადად აღდგენაზე მუშაობს. წონაც მოიმატა, 94 კილოა და მალე ვარჯიშს დაიწყებს.

**— ამირან ტოტიკაშვილიც აქ არის, მაგრამ უფრო მწვრთნელივით ირჯება...**

— ამირანი სპორტში რომ დავაბრუნეთ, ვუთხარი: თუ სპორტსმენად არა, მწვრთნელად მაინც უნდა მოხვიდე-მეთქი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეს კაცი მწვრთნელად ჩამოყალიბდეს. ამ შეკრებაზე მე მეხმარება, როგორც მწვრთნელი და როგორც სპარინგ-პარტნიორი — რევაზიშვილს. მის გარდა აქ „შტატიანი" მწვრთნელები — ბიძინა მოხევიშვილი, ჯემალ ნათელაშვილი და ომარ მერაბიშვილი არიან. მათი საკითხი ძალზე მტკივნეულია. მათზე დაჩაგრული და დავიწყებული ხალხი არ არსებობს. ამაზე ლაპარაკს ერიდებიან ხოლმე, მაგრამ უთქმელობა არ შეიძლება. ამ ხალხს მიტოვებული აქვთ სახლკარი, ოჯახებს მოწყვეტილნი არიან. თუმცა მათი წასვლა არც ევროპაზეა გათვალისწინებული და არც ოლიმპიადაზე. არადა, ისინი იქ საჭირონი არიან. მაგალითად ხახალეიშვილს წამალივით სჭირდება იქ თავისი მწვრთნელი მერაბიშვილი. კი ბატონო, დათოსთან ურთიერთობაში მე არავითარი პრობლემა არა მაქვს, მაგრამ მერაბიშვილმა მასთან მიდგომის სხვა ხერხები იცის. მათ შემყურეს, არ მეგონა, თუკი საქმის გულისთვის ორივეს ამდენის მოთმენა შეეძლოთ.

**— ამ შეკრების შემდეგ რას აპირებთ?**

— 1 მაისიდან თბილისში გვექნება შეკრება და 13-ში ევროპაზე გავემგზავრებით. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ გვინდა 10 დღე სადმე დავისვენოთ მთელმა გუნდმა და, თან, მსუბუქად ვივარჯიშოთ.

გეგმაში გვაქვს 10-12 დღიანი შეკრების მოწყობა ბახმაროს ტბაზე. ვივარჯიშებთ ფიზიკურ მომზადებაში. ხოლო ოლიმპიადამდე დასკვნით შეკრებას ისევ აქ, ბორჯომში მოვაწყობთ. ამერიკაში ჩასვლიდან შეჯიბრების დაწყებამდე 8 დღეა. ეს სრულიად საკმარისია აკლიმატიზაციისთვის.

**— ოლიმპიადაზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ, ჯერ კი წინ ევროპის ჩემპიონატია, სადაც ჩვენი ძიუდოისტებისაგან წარმატებას ველით. თქვენ რას გეგმავთ?**

— რაღაცას კი ვგეგმავ, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის ჩუმად, გულში. წინასწარ თქმა არ მიყვარს ხოლმე. მჯერა „ცუდი თვალის", „ბოროტი განზრახვის" და ეგეთების. თუმცა იმედი მაქვს. კარგი გუნდი გვყავს. თუ ღმერთმა გადმოგვხედა და თან მსაჯებმა არ დაგვჩაგრეს, ცუდი შედეგით არ ჩამოვალთ. ჩემი აზრით, გუნდურ პირველობაში სამეულში მოხვედრის კარგი შანსი გვაქვს.

**მერაბ რატიშვილი**

ბორჯომი — თბილისი



## ჯიბილო ნიჟარაძის სახელობის ტურნირი

27 აპრილი. თბილისი

**60 კგ**

1. მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა), 2. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 3. დავით ტატანაშვილი (გორი) და ფირუზ ტყეშელაშვილი (ქუთაისი)

**65 კგ**

1. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო), 2. ვასილ მერაბიშვილი (ქუთაისი), 3. ბესო ორბელაძე (ზესტაფონი) და ზაზა ზვიადაური (თბილისი)

**71 კგ**

1. გიორგი ნადირაშვილი (თბილისი), 2. დავით ნადარაია (თბილისი), 3. ლევან სულხანიშვილი (თიანეთი) და გიორგი მეზურნიშვილი (თბილისი)

**78 კგ**

1. ვეფხია მალუტაშვილი (თბილისი), 2. ნიკო ბენიაიძე (თბილისი), 3. გოჩა ბერაძე (თბილისი) და გია მეზვრიშვილი (თბილისი)

**86 კგ**

1. ზაზა გულბიანი (ქუთაისი), 2. ლევან ციგრიაშვილი (თბილისი), 3. ზვიად კურტანიძე (გორი) და გია ჩადუნელი (თბილისი)

**95 კგ**

1. ლევან გაგნიძე (თბილისი), 2. ალეკო ბოლქვაძე (თბილისი), 3. ვასილ სითათაშვილი (ქუთაისი) და იუზა ბოლქვაძე (თბილისი)

**მძიმე**

1. რატი ფერაძე (ზესტაფონი), 2. ლაშა ცხვარიაშვილი (საგარეჯო), 3. კოტე აბულაძე (თბილისი) და ალეკო კიკოლაშვილი (გორი)

## ნაზიმ ჯანჯას სახელობის ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის

ანკარა, თურქეთი

**I ადგილი**

გოგიტა კევლიშვილი (45 კგ, პროფკავშირები, საგარეჯო)

დავით მარგიშვილი (50 კგ, მორკინალი, თბილისი

**II ადგილი**

ყარამან ჯავახიშვილი (65 კგ, მორკინალი, თბილისი)

იმედა იმედაშვილი (71 კგ, მორკინალი, ახმეტა)

**III ადგილი**

ავთანდილ ზვიადაური (78 კგ, პროფკავშირები, ახმეტა)

გიორგი ოქროპირიძე (მძიმე, მორკინალი, თბილისი)

**გუნდური პირველობა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | საქართველო | 12 |
| 2. | აზერბაიჯანი | 10 |
| 3. | თურქეთი | 8 |
| 4. | რუსეთი | 8 |

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თურქებმა კიდევ ერთი მედალი აშკარად წაგვართვეს. გრიგოლ მამრიკიშვილს (60 კგ) შესანიშნავად უჭიდავია, სამი შეხვედრა წმინდად მოუგია. ნახევარფინალში მის მიერ წმინდად შესრულებული გდება მსაჯებმა „ვაზარით" შეაფასეს, შემდეგ მეტოქის — თურქი ჭაბუკის „კოკაც" „ვაზარად" დააფიქსირეს. ხანტეიზე კი რას იზამდნენ თურქი მსაჯები და ვის მიაკუთვნებდნენ გამარჯვებას, რა მარჩიელობა უნდა. იგივე მომხდარა მესამე ადგილისთვის შეხვედრაშიც — ასევე თურქ ძიუდოისტთან მსაჯებმა საქმე კვლავ ხანტეიმდე მიიყვანეს და მამრიკიშვილი უმედლოდ დაგვიტოვეს. ყველაფერი ეს, თურმე, იმიტომ გაკეთებულა, რომ თურქეთის გუნდი საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გასულიყო. მასპინძლებს ამ ადგილს რუმინეთის ძლიერი გუნდი ეცილებოდა, ჰოდა ადგილობრივ მსაჯებს მათთვის იმისთანა რამეები გაუკეთებიათ, რომ მამრიკიშვილის ამბავი მონაგონია. ჩვენს მსაჯებს — გუგული აბრამიშვილს და ვასილ ლაზარიშვილს კარგად უმსაჯიათ და სპეციალური დიპლომებიც დაუმსახურებიათ.

სულ თურქეთის ძიუდოს ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ნაზიმ ჯანჯას სახელობის ტურნირში 9 ქვეყნის ფალავნები ასპარეზობდნენ. ქართველებმა 14 ძიუდოისტი გამოიყვანეს. გუნდი კი მოამზადეს ვაჟა ბალხამიშვილმა (მთავარი მწვრთნელი), ზურაბ კახაბრიშვილმა და ანზორ მარგველანმა.




# შუმის ყველა იერიში მოიგერია

პარასკევს „ნიურბურგრინგზე" ვარჯიში ჩატარდა, რომელიც კვალიფიკაციისა და რბოლისათვის ბოლიდების მზადებას მიეძღვნა. საუკეთესო დრო ჰილს ჰქონდა, ხოლო ლიდერთა შორის იყვნენ შუმახერი, ჰაკინენი, კულჰარდი და ვერსტაპენი. ედი ირვინს ტექნიკური პრობლემები ჰქონდა და ტრასა რამდენიმე წრის შემდეგ მიატოვა, მექანიკოსებს კი მის „ფერარიზე" ახალი ძრავის დამონტაჟება მოუწიათ.

შაბათს, კვალიფიკაციისას, ტრასაზე პირველი მიკა ჰაკინენი გამოჩნდა, ის იყო სიჩქარეს უმატა და პირველი ჩასათვლელი წრე დაიწყო, რომ მისი მონოპოსტის „მერსედესის" ძრავამ ბოლი აუშვა და ასპარეზობის გაგრძელება იუარა. ფინელი ბოქსებს დაუბრუნდა და კვალიფიკაცია სათადარიგო, შედარებით სუსტად მომზადებული ბოლიდით მეცხრემ დაასრულა.

კვალიფიკაციას კარგა ხანს ვილნევი ლიდერობდა, მაგრამ ტრასაზე მერე ჰილი და შუმახერი გამოჩნდნენ და კანადელი მესამე ადგილზე გადაისროლეს, მაგრამ ჟაკმა მაინც მოახერხა მსოფლიო ჩემპიონზე უკეთესი დროის ჩვენება და სტარტზე თანაგუნდელის გვერდით, პირველ რიგში დაიკავა ადგილი. მათ გარდა პირველ ექვსეულში მოხვდნენ ბარიჩელო (ბრაზილიელი თავის გვარს ამგვარად გამოთქვამს და ჩვენც შემდგომში ასე მოვიხსენიებთ მას), ალეზი და კულჰარდი. 107 პროცენტიანი ზღვარი – 1.24,467 ამჯერადაც ვერ გადალახეს „ფორტი-ფორდის" პილოტებმა: მონტერმინიმ (1.25,053) და ბადორმა (1.25,830). და მაინც კვირას იქვე შედგა ამ გუნდის ახალი, „ფორდ-ცეტეკის" შარშანდელი ტიპის ძრავიანი მოდელის პრეზენტაცია. გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ეს მოდელი საშუალებას მისცემს პილოტებს გადალახონ საკვალიფიკაციო ზღვარი და უკეთესად იასპარეზონ, ბოლიდის დებიუტი კი მომავალ ეტაპზე – სან-მარინოს „დიდი პრიზის" გათამაშებისას შედგება.

სასტარტო განლაგება: ჰილი (უილიამს-რენო) 1.18,941; ვილნევი (უილიამს-რენო) 1.19,721; შუმახერი (ფერარი) 1.20,149; ალეზი (ბენეტონ-რენო) 1.20,711; ბარიჩელო (ჯორდან-პეჟო) 1.20,818; კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1.20,888; ირვინი (ფერარი) 1.20,931; ბერგერი (ბენეტონ-ფორდი) 1.21,054; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.21,078; ფრენცენი (ზაუბერ-ფორდი) 1.21,113; ბრანდლი (ჯორდან-პეჟო) 1.21,177; ჰერბერტი (ზაუბერ-ფორდი) 1.21,210; ვერსტაპენი (ეროუს-ჰარტი) 1.21,361; სალო (ტირელ-იამაჰა) 1.21,458; პანისი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) 1.21,509; კატაიამა (ტირელ-იამაჰა) 1.21,812; დინიცი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) 1.22,733; ფისიჩელა (მინარდი-ფორდი) 1.22,921; ლამი (მინარდი-ფორდი) 1.23,139

კვირა დილას ვარჯიში ალეზის უპირატესობით ჩატარდა, თუმცა ბოლოს ჰილმა შესძლო 0,027 წამით უმჯობესი შედეგის ჩვენება. საუკეთესოთა შორის კვლავ მოხვდნენ „მაკლარენ-მერსედესის" ორივე პილოტი და იოს ვერსტაპენი („ეროუს-ჰარტი"), რაც ჰოლანდიელის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

რბოლის წინ ფორმულა-1-ის ყოფილმა პილოტმა და „ევროსპორტის" კომენტატორმა ჯონ უოტსონმა ასე შეაფასა მრბოლთა შესაძლებლობები: საუკეთესო შანსები აქვთ ჰილსა და ვილნევს, გამარჯვება შეუძლიათ ალეზისა და შუმახერს, რომელიც საკუთარ ქვეყანაში ათასობით გულშემატკივრის თვალწინ ასპარეზობს და შეეცდება პირველი გამარჯვება მოუპოვოს „ფერარის".

თვით რბოლა სიურპრიზით დაიწყო: ჰილი შეფერხდა და ოდნავ შეაყოვნა მის უკან მდგომი შუმახერიც. კულჰარდმა მეექვსე პოზიციიდან ყველაზე უკეთ აიღო სტარტი და პირველ მოსახვევში მეორე, ვილნევის შემდეგ შევიდა. მას კუდში მიყვნენ ბარიჩელო და შუმახერი, ჰილი კი მეხუთე ადგილზე დარჩა. პირველი წრის ბოლოს ალეზი ერთ-ერთ მოწინაალმდეგეს წამოედო და რბოლას გამოეთიშა, ხოლო ბერგერს ბოქსებში მოუწია შევლა, 30 წამზე მეტ ხანს დაყოვნდა და რბოლა მე-18 ადგილზე გააგრძელა.

ამასობაში ვილნევმა თანდათან გაზარდა უპირატესობა და მესამე წრისათვის 2,5 წამს უგებდა კულჰარდს. მათ უკან დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მესამე-მეოთხე ადგილებისათვის. ბარიჩელომ წარმატებით მოიგერია ჯერ შუმახერის, ხოლო შემდეგ ჰილის შეტევები. ამან მე-5 წრეზე შესანიშნავი „სუფთა" მანევრით S-ის მაგვარ მოსახვევში უკან ჩამოიტოვა გერმანელი. ბრაზილიელმა მესამე პოზიცია მხოლოდ ბოქსებში დაგეგმილი შეჩერებისას დაკარგა. ამავე დროს ბერგერი ეცადა დაკარგული პოზიციის დაბრუნებას და რამდენიმეჯერ დაამყარა წრის რეკორდი, თანდათან დაუახლოვდა წინ გასულებს, მაგრამ საწვავის ჩამატებისას ძრავი ჩაუქრა და კვლავ ჩამორჩენილებს შორის აღმოჩნდა.

ლიდერებიდან ბოქსს პირველი ჰილი ესტუმრა (22-ე წრე). ტრადიციების მოყვარულმა ინგლისელმა მექანიკოსებმა არც ამჯერად უღალატეს ჩვეულებას და სასურველი სტუმარი კარგა ხნით – 20,9 წამით დაიტოვეს. ტრასზე დაბრუნებული ჩემპიონატის ლიდერი ათეულის მიღმა აღმოჩნდა და ძალზედ დაძაბული ჭიდილი დასჭირდა ექვსეულში მოსახვედრად.

26-ე წრისათვის ყველა პილოტმა გამოცვალა საბურავები და საწვავის ახალი მარაგიც აიღო, რის შემდეგაც შუმახერი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ვილნევი ჩამორჩენილებს წამოეწია და ოდნავ შეფერხდა. ამით ისარგებლა მსოფლიო ჩემპიონმა და დაუახლოვდა მას. მათ შორის მანძილი რამდენიმე მეტრამდე (0,663 წმ) შემცირდა.

პირველობისათვის ბრძოლა გამწვავდა. ჯიუტად მიიწევდნენ წინ ჰილი და ბერგერი და ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ჩასათვლელ ადგილებს. კარგად ასპარეზობდნენ კულჰარდი და ჰაკინენი, მაგრამ ეს უკანასკნელი ბოქსებში სიჩქარის გადაჭარბებისათვის ორჯერ დაჯარიმდა 10 წამით და საბოლოოდ უქულოდ დარჩა.

ბოქსებში მეორე შეჩერების შემდეგ ლიდერთა პოზიციები აღარ შეცვლილა. ვილნევი კვლავ პირველ ადგილზე იმყოფებოდა, შუმახერი – მეორეზე. მსოფლიო ჩემპიონი თანდათანობით ზრდიდა ტემპს, კვლავ უახლოვდებოდა კანადელს და ცდილობდა ხელსაყრელი მომენტი შეერჩია გასასწრებად. ზოგიერთ მომენტში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ვილნევი ვერ გაუძლებდა გერმანელის „პრესინგს" და პირველობას დათმობდა, მაგრამ ჩემპიონატის დებიუტანტმა რბოლის ბოლომდე შეინარჩუნა პოზიცია და პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

მესამე ადგილისათვის გააფთრებით იბრძოდნენ ყოფილი თანაგუნდელები კულჰარდი და ჰილი. ეს ორთაბრძოლაც შედარებით ახალგაზრდა კულჰარდის გამარჯვებით დასრულდა და „მაკლარენ-მერსედესმა" წელს პირველი პოდიუმი მოიპოვა, ჰილი კი ამჯერად 3 ქულით დაკმაყოფილდა. შესანიშნავად იასპარეზეს „ჯორდან-პეჟოს" პილოტებმა და ქულებიც მიიღეს.

რბოლის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ვილნევმა თქვა: „შესანიშნავი გრძნობაა, მოიპოვო პირველი გამარჯვება, თანაც ასეთ დაძაბულ რბოლაში. შუმახერი ძალიან სწრაფი იყო, მაგრამ მე ოდნავ უფრო სწრაფი აღმოვჩნდი. წინ კიდევ ბევრი რბოლაა. შემდეგი ეტაპები ჩემთვის შედარებით ნაცნობ ტრასებზე ტარდება და ვეცდები კარგი შედეგები ვაჩვენო".

შუმახერმა ბრძანა, რომ ფანტასტიური რბოლა იყო, რომ ერთხელაც ვერ იპოვა გზა, რათა ჟაკისათვის გაესწრო; ისე კი, რბოლა დაამთავრა, რაც კარგი შედეგია. გუნდში მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება და მალე ალბათ გამარჯვებაც მოვა.

კულჰარდმა განაცხადა: „დაძაბული, საინტერესო ასპარეზობა იყო. ჰილი ბევრს ეცადა გასწრებას, მაგრამ ამჯერად მე ვაჯობე. „მაკლარენს" უკეთესი პერიოდი უდგება და მომავალში მეტი წარმატებაც გველის".

შემდეგი რბოლა 5 მაისს, იმოლაში, „ფერარის" შინაურ ტრასაზე ტარდება. „სკუდერიას" წევრები ალბათ ყველაფერს იღონებენ, რათა არ შერცხვნენ ტიფოზების წინაშე.

ალეკო ჟაბუკიანი

## IV ეტაპი

### ევროპის „დიდი პრიზი"

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

„ნიურბურგრინგი", გერმანია. 28 აპრილი

ტრასის სიგრძე: 4,542 კმ
რბოლის დისტანცია: 68 წრე (308,856 კმ)

1. ვილნევი (უილიამს-რენო) 1:33.26,473 (196,006 კმ-სთ) – 10 ქულა
2. შუმახერი (ფერარი) ჩამორჩა 0,762 წამით – 6 ქულა
3. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 32,834 – 4 ქულა
4. ჰილი (უილიამს-რენო) 33,54 – 3
5. ბარიჩელო (ჯორდან-პეჟო) 33,73 – 2
6. ბრანდლი (ჯორდან-პეჟო) 55,567 – 1
7. ჰერბერტი (ზაუბერ-ფორდი) 1.18,022
8. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.18,436
9. ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.21,661
10. სალო (ტირელ-იამაჰა) 1 წრით
11. დინიცი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) 1 წრით
12. როსეტი (ეროუზ-ჰარტი) 1 წრით
13. კატაიამა (ტირელ-იამაჰა) 2 წრით
14. ლამი (მინარდი-ფორდი) 2 წრით
15. ფისიჩელა (მინარდი-ფორდი) 2 წრით

საუკეთესო წრე: ჰილი 1.21,363 (55-ე წრე)

პირადი პირველობა: ჰილი 33 ქულა; ვილნევი 22; შუმახერი 10; ალეზი 10

გუნდური პირველობა: უილიამს-რენო 55; ფერარი 16; ბენეტონ-რენო 13


ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს გათხოვდა 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის გმირი, რუმინელი ტანმოვარჯიშე ქალი ნადია კომენეჩი, ჩაუშესკუს რეჟიმის ერთი უცნობილესი მსხვერპლი რომ იყო და თავის დროზე თავს ამერიკაში გაქცევით უშველა.

კომენეჩი ცოლად მოიყვანა ამერიკელმა ტანმოვარჯიშემ, თავადაც ოლიმპიადის პრიზიორმა ბად კონერმა. ქორწილისადმი ინტერესი რუმინეთში ისეთი იყო, რომ ბუქარესტში გიგანტური ტელეეკრანები დადგეს, ახლად შეუღლებულები კი თვით პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ მიიღო.

## ამერიკელთა საზრიანობა

Atlanta 1996

შაბათს ლოს-ანჯელესიდან დაიწყო ოლიმპიური ცეცხლის 84-დღიანი და 24 ათას კილომეტრიანი ესტაფეტა, ოლიმპიადის ბინაზე – ატლანტაში რომ დასრულდება. აშშ-ის ისტორიისა და ლანდშაფტის მრავალფეროვნების წარმოსაჩენად მასპინძლები ცეცხლს წაიღებენ არა მხოლოდ ქვეითად, არამედ საბაგირო გზით, ველოსიპედით, ორთქლის გემით, პონშებმული ეტლითა და კანოეთი. რაც შეეხება ქალისა და კაცის შიშველ ფიგურებს, 1984 წელს, ოლიმპიადისთვის რომ დადგეს ლოს-ანჯელესის „კოლიზეუმზე", საზრიანმა ამერიკელებმა ისინი დროებით შენიღბეს, ესტაფეტის ტელერეპორტაჟის დროს აუდიტორიის აზიური ნაწილი რომ არ აეფორიაქებინათ.

შუქრი ბუნტური

# საერთაშორისო რაგბი

## ზე-12-ის პირველობა

26 აპრილი
ქვინზლენდი 51:13 ოქლენდი

27 აპრილი
ჩრდ. ტრანსვაალი 38:20 ველინგთონი
ნატალი 58:26 ქენთებრი

28 აპრილი
ვაიქათო 39:17 ახ. სამხრ. უელსი
დას. კონცხი 25:16 კანბერა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდი (ავ) | 9 | 7 | 0 | 2 | 274:211 | 33 |
| ოქლენდი (ზ) | 8 | 6 | 0 | 2 | 300:253 | 32 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 9 | 6 | 0 | 3 | 271:191 | 29 |
| ვაიქათო (ზ) | 10 | 6 | 0 | 4 | 276:246 | 28 |
| კანბერა (ავ) | 9 | 6 | 0 | 3 | 226:224 | 27 |
| ნატალი (აფ) | 8 | 5 | 0 | 3 | 297:213 | 26 |
| ახ. სამხრ. უელ (ავ) | 9 | 4 | 0 | 5 | 216:209 | 22 |
| ოთაგო (ზ) | 9 | 4 | 0 | 5 | 274:294 | 22 |
| დას. კონცხი (აფ) | 10 | 3 | 1 | 6 | 244:318 | 15 |
| ველინგთონი (ზ) | 9 | 2 | 0 | 7 | 242:286 | 13 |
| ქენთებრი (ზ) | 10 | 2 | 1 | 7 | 207:349 | 12 |
| ტრანსვაალი (აფ) | 8 | 2 | 0 | 6 | 170:203 | 11 |

შენიშვნა: მოგება – 4 ქულა, ფრე – 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით ნაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა – თითო პრემიალური ქულა. მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

1. V: ოქლენდი – ახ. სამხრ. უელსი, ნატალი – ტრანსვაალი

## როგორ, ესაა ოქლენდი?

ჯონა ლომუს, ზინზან ბრუქისა და შონ ფითსპატრიქის ოქლენდი მეორედ ეწვია ავსტრალიას და მეორედ დამარცხდა – ამჯერად ბრისბენის „ბალიმორზე", სადაც ზელანდიელებს შვიდი ლელო გაუტანა ქვინზლენდმა, „ზე"-სერიალების ბოლო ორი წლის ჩემპიონი რომაა.

ლიგის რაგბიდან დაბრუნებულმა ხვადაგმა მეორეხაზელმა გერიქ მორგანმა პირველსავე წუთზე გახსნა ანგარიში. შესვენებას გუნდებმა 34:8-ზე უწიეს. მორგანმა მეორე ლელოც გაიტანა. მის გარდა თავი ისახელეს მესამეხაზელებმა კონორსმა და კეფუმ და უკანახაზელებმა სმითმა, ლითლმა და ნორჩმა ბენ თიუნმა, ვინაც ლომუ რომ გააპამპულა, 25 267 მოსეირეს მოკითხვა გაუგზავნა. აყლაყუდა მორკინალმა ჯონ ილზმა ხუთი ლელო გარდასახა და ორი საჯარიმოც შეაგდო.

მორგანს არ ჩამორჩა ვაიქათოს „ბელადთა" მეორეხაზელი იენ ჯოუნზი, რომელმაც სიდნეის „ვარათაზს" დერეფანიც მოუგო და თან სამი ლელოც გაუტანა. „ვარათაზი" პლეი-ოფში ველარ გავა.

**ინგლისის** ჩემპიონი მეექვსედ გახდა „ბასი". შაბათის ბოლო ტურის წინ მასა და შარშანდელ ჩემპიონ „ლესთერს" ქულები თანაბრად ჰქონდათ და ორივეც შინ თამაშობდა. „ლესთერმა" 19:21 წააგო ლონდონის „ჰარლიქვინზთან", „ბასმა" კი ბოლო წუთზე ლელო გაუშვა და 38:38 ფრეს დასჯერდა „სეილთან". საბოლოოდ „ბასმა" ერთი ქულით აჯობა „ლესთერს", მაგრამ ამ შაბათს, თვიქნემში, თასის ფინალში კვლავ მას ეთამაშება. ჩემპიონატის ზედა, 10-გუნდა ჯგუფიდან გავარდა ლონდონის „სერეზინზი", მაგრამ ბოზოლა კლუბები კავშირისგან გავარდნა-ალზევების გაუქმებას ითხოვენ, უარის შემთხვევაში კი გამოყოფით და ცალკე შეჯიბრის მოწყობით იმუქრებიან.

**ლიგის რაგბში** ინგლისის თასი ზედიზედ მეცხრედ ველარ მოიგო „ვიგანმა", ვინც მეხუთე წრეში გააგდო მეორე ჯგუფის ლადერმა „სოლფორდმა", ფინალი კი შაბათს გაიმართა „უემბლიზე" და მრავალმხრივ საგულისხმოც გამოდგა: ევროპის სუპერ-ლიგის ლიდერმა „სენთ-ჰელენსმა" 40:32 დაამარცხა „ბრედფორდ ბულზი" (ხარები), ვისაც თასი 47 წელი იყო, ვერ მოეგო. ანგარიში ასე იცვლებოდა – 8:0, 8:8, 12:8, 12:14 (შესვენების წინ); 12:26, 34:26, 34:32, 40:32. გამარჯვებულთა ბოლო, გადამწყვეტი ლელო ექს-სამოელმა მორაგბემ აპოლო პერელინიმ გაიტანა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი სცენეს „ხარების" ზელანდიელი კაპიტანი, 20 წლის რობი პოლი, ვინაც ფინალებში პირველმა შეძლო სამი ლელოს გატანა და ჯილდოდ 15 ათასი გირვანქაც მიითვალა.

# წინა კვირის ჩოგბურთი

## თომას მუსტერს – წითელი მიხაკი

**წელს** პირველი მარცხი იწვნია გერმანელმა შტეფი გრაფმა, თანაც სამმაგი: ქალთა გუნდური შეჯიბრის – ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფის პირველ წრეში – მეოთხედფინალში შტეფიმ ერთ დღეში წააგო ჯერ ერთეულთა თამაში, მერე კი წყვილთა მატჩიც, რის შედეგადაც მისი გუნდი 2-3 დამარცხდა და გავარდა.

**იაპონიამ** გერმანიას ტოკიოში უმასპინძლა. შაბათს მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ანკე ჰუბერმა 6:4, 4:6, 1:6 წააგო მეცხრესთან – იაპონელთა ლიდერ კიმიკო დატესთან, მაგრამ მერე პირველმა ჩოგანმა – გრაფმა 6:1, 6:3 დაამარცხა ნაოკო სავამაცუ. კვირას თავი ისახელა დატემ: სამსაათნახევარში კარიერაში პირველად მოუგო გრაფს 7:6, 3:6, 12:10 და გუნდური ანგარიში გააყაიმა 2-2, ბოლოს კი აი სუგიამა – კიოკუ ნაგაცუკას წყვილმა გრაფ – ჰუბერის დუეტიც დაამარცხა 4:6, 6:3, 6:3.

იაპონია ნახევარფინალში, ივლისში ეთამაშება აშშ-ს, რომელმაც ზალცბურგში ავსტრიას 3-2 აჯობა. ამერიკელთა კაპიტან ბილი-ჯინ კინგს ტრავმების გამო ხელიდან გამოეცალნენ მონიკა სელეში, ლინდზი დავენპორტი და ჩანდა რუბინი. ჰოდა, კინგმა იხმო ჯენიფერ კაპრიატი, ამან კი ორივე თამაში წააგო: ბარბარა პაულუსთან 2:6, 4:6, იუდით ვიზნერთან 1:6, 1:6. ამერიკა მერი-ჯო ფერნანდესმა იხსნა.

მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ ესპანეთი (თასის მფლობელი) და საფრანგეთი. ამათაც 3-2 გაიმარჯვეს: ესპანეთმა მურსიაში დაამარცხა სამხრეთი აფრიკა, საფრანგეთმა კი ამიენში – არგენტინა.

ესპანეთი ბოლო სამი წლის გამარჯვებულია, მაგრამ მისი ლიდერები – კონჩიტა მარტინესი და არანტა სანჩეს-ვიკარიო ამჯერად გახარბდნენ და რომ ეთამაშათ, თავიანთ ფედერაციას თითომ 55 ათასი დოლარი გამოსძალა. შაბათს სანჩესმა 6:3, 6:1 დაამარცხა ჯანეტ კრუგერი, მარტინესმა 7:5, 6:3 – ამანდა კეტცერი. იმაზე, თუ კვირას რა მოხდა და წყვილთა თამაშის გამართვა რატომ გახდა საჭირო, პატივცემული უცხოური სააგენტოები დუმან.

შაბათს საფრანგეთმა და არგენტინამ თითო თამაში მოიგეს: მასპინძელმა ნატალი ტოზიამ უეცრად წააგო ფლორენსია ლაბატთან 3:6, 4:6, მაგრამ მერე ჟული ალარ-დეკიუჟიმ 6:4, 7:5 დაამარცხა სუარესი. კვირის დეტალები აქაც უცნობია.

**ვაჟთა ტურზე** შარშან მოპოვებული მორიგი სათიხნარო ტიტული შეინარჩუნა ავსტრიელმა თომას მუსტერმა (1), ვინაც მონტე-კარლოს შეჯიბრის ფინალი 6:3, 5:7, 4:6, 6:3, 6:2 მოუგო ესპანელ ალბერტო კოსტას (16). თომასმა წელს უკვე გაიმარჯვა მეხიკოში, ესტორილსა და ბარსელონაში, მონტე-კარლოში ბოლო ბურთის ჩაგდების შემდეგ კი მავანმა მაყურებელმა წითელი მიხაკიც სტყორცნა.

მუსტერმა ნახევარფინალი 6:3, 6:3 მოუგო განუთესელ ფრანგ სედრიკ პიოლინს, ვინაც მანამდე იმსხვერპლა კაფელნიკოვი (რუსეთი, 6), მედვედევი (უკრაინა, 12) და კარლოს კოსტა (ესპანეთი). ალბერტო კოსტამ ნახევარფინალში 6:3, 4:6, 6:2 დაამარცხა ნაწნავიანი ჩილელი მარსელო რიოსი (13), ვინაც მეოთხედფინალში 6:4, 6:3 აჯობა შვედ მაგნუს გუსტაფსონს, მერვედფინალში კი ორ ხელში გააბუნძურა თვით ბორის ბეკერი (გერმანია, 4).

ალბერტო კოსტამ მეტისმეტი შეიძლო. იგი შარშანაც კარგად თამაშობდა თიხაზე: საფრანგეთის ღია პირველობაზე მომავალ ჩემპიონ მუსტერს ხუთი ხელი გაუძალიანდა, კიცბიუელში (ავსტრია) კი ფინალში მასვე ხუთ ხელში მოუგო. ამჯერად ალბერტომ მეოთხედფინალში 6:3, 6:3 დაამარცხა თანამემამულე ფელიქს მანტია, მერვედფინალში კი 30 შეცდომა დაუშვებინა დიდ ანდრე აგასის (აშშ, 2) და 6:2, 6:1 გააბითურა. აგასი კორტიდან სტვენით გააცილეს, თუმც კი თავი იმართლა, ცდა არ დამიკლიაო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29